ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 2023 №185 (9221) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შსს-ს მოქმედი თანამშრომელი, რომელმაც ყოფილი ცოლი და სიდედრი მოკლა, გურამ ქადეიშვილია

გვ.4



მოკლული ვერონიკა ქუმსიაშვილია

რა შემოუთვალა ფარცხალაძემ „ქართულ ოცნებას“?!

გვ.3

გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ფონზე, რუსეთში ბიზნესის კეთება რომ დაიწყო, რუსული პასპორტი აიღო, ე.ი. ამ ადამიანს პრობლემა ტვინში აქვს“

„ფარცხალაძე არის აისბერგის წვერი და ძირი უფრო სკანდალური იქნება“

ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს ბანკებში ანგარიშებზე წვდომა აღუდგება – **ეროვნული ბანკის ახალი გადაწყვეტილება**

გვ.2

ვინ არიან ფარცხალაძის კლანის წევრები?!

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „2024 წლის საარჩევნო სიაში კობახიძე და მისი გუნდიც აღარ იქნება წარმოდგენილი“

რა ვალდებულება ჰქონდა სააკაშვილს რუსეთის წინაშე?!

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერალურ კანცლერს ოლაფ შოლცს შეხვდა

გვ.3

გვ.4

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს შეხვდა

ისტორიები

ლავრენტი ბერია – საიდუმლო ოპერაციები მსოფლიო ომის წინ

მედიცინა

რა უნდა ვიცოდეთ სისხლის შესახებ

„საქართველოში რუსული გავლენა პრობლემად რჩება“

გვ.4

3 სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი იუსტიციის სამინისტროდან ელოდება ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე დასკვნას“

4 პოლონეთში საქართველოს მოქალაქემ 45 წლის კაცი დაჭრა

6 ჰაიგაში რუსეთს ასამართლებენ

1993230720223

რა შემოუთვალა ფარცხალაძემ „ქართულ ოცნებას“?

კახა ქემოკლიძე: „ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ფონზე, რუსეთში ბიზნესის კეთება რომ დაიწყო, რუსული პასპორტი აიღო, ე.ი. ამ ადამიანს პრობლემა ტვინში აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს

„ფარცხალაძე არის აისბერგის წვერი და ძირი უფრო სკანდალური იქნება“

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რას იტყვით ფარცხალაძის სკანდალზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს დასაწყისია და ამას დიდი ამბები მოჰყვება. კობახიძე ერთ დღეს აცხადებდა, რომ ფარცხალაძეს 10 წელია ხელისუფლებასთან შეხება არ ჰქონიაო და როგორც კი ანგარიშები დაუყადაღეს, ეროვნულმა ბანკმა კონსტიტუცია დაარღვიაო. რასთან გვაქვს საქმე?

– იმასთან გვაქვს საქმე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ აისბერგის წვერია. ბატონი ფარცხალაძის საქმე, არ არის რიგითი ჯაშუშის საქმე. ფიგურალურად ის არა მთავრობას, არამედ პირდაპირ ბატონ ივანიშვილს უკავშირდება ბევრი სხვადასხვა არხით. შესაბამისად, ივანიშვილს აქვს უდიდესი ზეგავლენა, სრული თუ არა, სახელმწიფო აპარატსა და სახელმწიფო ვერტიკალზე და აქედან გამომდინარე, თავად გააკეთეთ დასკვნა, თუ რას ნიშნავს ეს. თუ დადასტურდა, რომ ბატონი ფარცხალაძე გადაბირებულია რუსეთის ფსბ-ეს მიერ, რომელსაც პირდაპირი კავშირი ან ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ბატონ ივანიშვილთან, რომელიც ამავდროულად 100%-ით აკონტროლებს ხელისუფლებას, ეს სკანდალზე მეტია. ამან ფაქტობრივად შეიძლება, თუ უკვე არ მოახდინა, სრული ეროვნული უსაფრთხოების ეროზია განახორციელოს. სისტემური ეროზია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ კავშირები პირდაპირ ივანიშვილამდე მიდის?

– მე ვფიქრობ, რომ ბატონი ფარცხალაძე ვერ გაინძრეოდა ბატონი ივანიშვილის გარეშე. როგორც მინიმუმ, ეს ინფორმაცია ნამდვილად ექნებოდათ აღებული კონტრდაზვერვის ოფიცრებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, მაგრამ ეს ადამიანები დიდი ალბათობით გააჩერეს მაღალმა პოლიტიკური თანამდებობის პირებმა. კონტრდაზვერვის ოფიცერი არ გაინძრევა, ერთ ნაბიჯს არ გადადგამს თუ მას ზურგი არა აქვს გამაგრებული პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან. სადაზვერვო საქმიანობა ძალიან სენსიტიურია. შენ შეიძლება აგენტურული ქსელი ისე გაშიფრო, რომ ამ ქსელში ჩვეულებრივი რიგითი ჯაშუშები კი არა, უმაღლესი პოლიტიკური ელიტა აღმოჩნდეს გახლართული. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ეს ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს არ შეიძლება ჰქონოდა?! რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია. ვერ გაინძრეოდა ფარცხალაძე, თუ, რა თქმა უნდა, თვალი შეგნებულად არ ექნებოდა დახუჭული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს! ეს არის სწორედაც უსაფრთხოების მთელი სისტემური ეროზია! რის მომსწრეც ვართ დღეს ჩვენ!

– ბატონო კახა, რამდენად უნდა ველოდეთ კიდევ უფრო მეტ მტკიცებულებას და შესაძლოა თუ არა, გაფართოვდეს ფსბ-ეს აგენტურის წრე?

– მტკიცებულებებს დეტალების დონეზე, რომელმაც შეიძლება გაშიფროს თავად ამ ინფორმაციის მიღების, მიწოდების მეთოდოლოგია და წყაროები, ეს ანა-ბანაა უსაფრთხოების სისტემასა და დაზვერვის სფეროში და ამას არ გააკეთებენ. ამას ამერიკელები კი არა, მე არ გავაკეთებდი. ეს დაუწერელი კანონია. რასაც „ქართული ოცნება“ ითხოვს, ეს უბრალოდ არაპროფესიონალიზმის ერთ-ერთი კონკრეტული ამონარიდია. ამას კი იმიტომ აკეთებენ, რომ სათავისო საინფორმაციო ველი შექმნან, ვითომ ამერიკელებმა უსამართლოდ დააბრალეს ფარცხალაძეს. აგენტურას რომ თავი დავანებოთ, ადამიანი, რომელიც ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ფონზე, უკრაინის და რუსეთის ომს ვგულისხმობ, რუსეთში ბიზნესის კეთებას დაიწყებ და რუსულ პასპორტს რომ აიღებ, აქ აგენტობაზე პირველი, მორალური ფაქტორი უნდა წამოიწიოს. ტვინში გაქვს ადამიანს პრობლემა, როდესაც ამას უშვებ.

– რატომ გადაწყვიტეს „ოცნების“ ლიდერებმა ფარცხალაძის დაცვა?

– „ქართული ოცნება“, რადგან თავდაცვით პოზიციაში ჩადგა, დიდი ალბათობით ბატონი ფარცხალაძის მხრიდანაც ექვემდებარება შანტაჟს. ფარცხალაძე სულელი არ არის, როდესაც ნახავდა ამათ განცხადებებს, რომ მომენტალურად გაემიჯნენ და დაიწყეს საუბარი, თურმე 10 წელია ხელისუფლებაში აღარ არის. ეს რა არგუმენტია? ივანიშვილიც არ არის ხელისუფლებაში, მაგრამ ერთ ჯიბეში ისვამს მთავრობას და მეორე ჯიბიდან გვაჩვენებს ქართველ საზოგადოებას. შესაბამისად, ფარცხალაძეს არ მოეწონებოდა ეს რიტორიკა და დიდი ალბათობით შემოუთვლიდა კიდეც პასუხს.

– სწორედ ამიტომ შეცვალა „ოცნებამ“ რიტორიკა და ახლა იცავენ მის ინტერესებს, რომ მისი ანგარიშების დაყადაღება არაკონსტიტუციურია და ასე შემდეგ?

– მე საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ სწორედაც მაგას ნიშნავს. თუმცა ესენი ფარცხალაძის შემოთვლილზე არ შეიცვლიდნენ პოზიციას. დიდი ალბათობით, „ქართული ოცნება“ პოზიციონირებას შეიცვლიდა ივანიშვილის ზარის ფონზე. დარწმუნებული ვარ, სწორედაც ივანიშვილი წარმართავს დღეს ამ საინფორმაციო პოლიტიკას. რეალურად ეს არის საინფორმაციო ქაოსი, რომელიც ჯერჯერობით თვითონაც ვერ დაალაგეს. მე დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. ფარცხალაძე არის აისბერგის წვერი და ძირი უფრო სკანდალური იქნება.

– ფარცხალაძე გენერალური პროკურორი იყო. საუბარია ძალოვან უწყებებზე. საინტერესოა, რა პერიოდში მოხდა მისი გადაბირება, სხვაც თუ არის ჩართული ამ აგენტურულ ქსელში? ძალიან ბევრი კითხვაა, ბატონო კახა.

– თქვენი მკითხველისთვის ვიტყვი, პროფესიულად პირველი კითხვები რაც გაჩნდება და ასეთ დროს ჩნდება, ეს არის, როდის მოხდა გადაბირება? როგორ მოხდა, რა ფაქტორებით მოხდა? ოთხი ძირითადი ფაქტორია გადაბირების: ერთი არის ფული, მეორე არის იდეოლოგია, მესამე არის კომპრომატით დაშანტაჟება და მეოთხე არის ადამიანის შინაგანი ეგო! სიბრაზე, განაწყენება და ასე შემდეგ. ამ ჩამოთვლილი ოთხი ფაქტორიდან, იყო რომელიმე, რომელიც ბატონ ფარცხალაძეს გააჩნდა, როგორც მიზეზი გადაბირების? ან ვინ იყო მისი კავშირი, კურატორი?!

– თქვენ საუბრობთ, რომ ივანიშვილი პირდაპირ კავშირში იქნება ამ ყველაფერთან? დაიდება მასზეც კომპრომატები? მოხდება მისი დასანქცირება?

– სანამ ამ კონკრეტულ თემაზე გიპასუხებთ, ერთ რამეს გეტყვით, როგორც საქართველოს მოქალაქე, ჩემთვის ძალიან მძიმეა მსგავსი ტიპის ფაქტის არსებობა და საერთოდ წარმოდგენაც კი. ფარცხალაძე საქართველოს მოქალაქე იყო და უმაღლესი თანამდებობის პოლიტიკური პირი, უდიდესი კავშირებით და გავლენებით. შესაბამისად, საქართველოსთვის, ჩვენი სახელმწიფოსთვის, ეს პრობლემაა და ძალიან ცუდი ფაქტია. ამერიკელებმა გვითხრეს, რომ კონტრსადაზვერვო საქმიანობაში გაქვთ პრობლემა, სერიოზული გარღვევა გაქვთ, იმდენად არ გვენდობიან, რომ ეს არ გვითხრეს და გადაწყვეტილება მიიღეს დამოუკიდებლად. შეეძლოთ, საერთო ოპერაცია დაეგეგმათ ფარცხალაძის და მისი აგენტურული ქსელის გამოსააშკარავებლად. რეალურად საქართველოს აქვს პრობლემა.

რაც შეეხება ბატონ ივანიშვილს, ეს პრობლემა ბიძინა ივანიშვილამდე მივა თუ არ მივა, ეს გამოჩნდება. უბრალოდ, დროის საკითხია. ისეთი დონის შეცდომებს უშვებენ, ისეთ დონეზე გამოკვეთეს საკუთარი პრორუსულობა, რომ აღარც მალავენ. სწორედ ამიტომ დააყენა ჩვენი ხელისუფლება მისმა სტრატეგიულმა პარტნიორმა ფაქტის წინაშე. ამით პირდაპირ უთხრეს, არ გენდობით, გინდა შენთვის გვითქვამს და გინდა ფსბ-თვის. ამიტომ მოქმედებენ ისე, როგორც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი გაგრძელდება. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ აისბერგის წვერი და ჩვენ კიდევ დავინახავთ აისბერგის ძალიან დიდ ნაწილებს ამ დიდ ოკეანეში.

– ბატონო კახა, რას იტყვით სუს-ის განცხადებაზე? ეს იყო ფარცხალაძის თემის გადაფარვა თუ ეს განცხადება გაკეთდა პრევენციის მიზნით? იციან, რომ სტატუსს ვერ მივიღებთ, ამას მოყვება დიდი ვნებათაღელვა და წინასწარ თავს იზღვევენ? ქვეყანაში გადატრიალებას გეგმავენო. ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე ასეთი შავბნელი ანონსები რატომ გვაქვს ხოლმე?

– ორ ფაქტორს ემსახურება. პირდაპირი მნიშვნელობით, ფარცხალაძის ძალიან მძიმე საქმის გადაფარვის მცდელობაა. ახალი აქცენტების გაჩენას ცდილობენ აბსოლუტურად არარელევანტურ და არასერიოზულ საკითხზე. ისიც კარგად ვიცით, რომ ნაცმოძრაობა ყველაფრის მკადრებელი ძალაა და „ოცნებაც“ სწორედ ამას ებღაუჭება. სწორედ ამიტომ საზოგადოებას ირაციონალურ შიშებს უნერგავენ. ერთი მხრივ მიზნად ისახავდა სწორედ ფარცხალაძის მძიმე საქმის გადაფარვას და მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ბრიუსელის კულუარებიდან მოდის ინფორმაცია, რომ დიდი ალბათობით, შესაძლოა ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი „ქართულმა ოცნებამ“. მათ უდგათ სერიოზული რისკი, საზოგადოება იმდენად გამწარდება, რომ პირდაპირ დაიწყებს ამ ხალხის გამოყრას კაბინეტებიდან. სწორედ ამის ეშინიათ და წინმსწრებად ხდება ცრუ ნარატივის ფორმირება. ასევე გეტყვით, თუ რა იქნება მეორე სერიაში.

– რა იქნება?

– მეორე სერიაში, დიდი ალბათობით, დაიწყებენ გარკვეული სატელეფონო კავშირების, ჩანაწერების გამოქვეყნება, არ გამოვრიცხოთ, იყოს ვიდეო ჩანაწერებიც. შესაძლოა ნაცმოძრაობის წევრების ან თუნდაც უკრაინაში მყოფი პირების, რომლებიც ჭორაობის დონეზე, როდესაც გაბრაზებით საუბრობდნენ „ქართულ ოცნებაზე“, ამოიღებენ ფრაგმენტულად მსგავსი ტიპის მასალას და შემოგვთავაზებენ და იტყვიან, ხომ გეუბნებოდით, ნახეთ, რას აპირებდნენ. მსგავს თემას გარკვეული მტკიცებულებების გარეშე ვერ გაავრცელებ, ეს წარმოუდგენელია, ნონსენსია. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ რაღაც მსგავსი აქვთ და ჩვენ ამას მეორე სერიაში ვიხილავთ.

ვინ არიან ფარცხალაძის კლანის წევრები?!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა ФСБ-ს აგენტობაში მხილებული ოთარ ფარცხალაძის კლანის წევრები გაასაჯაროვა, რომელთა მეშვეობითაც, ენმ-ის ინფორმაციით, ფარცხალაძე მართავს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და საბაჟოს, ფინანსურ პოლიციას, სტრატეგიულ ობიექტებს, ბათუმისა და ფოთის პორტს.

– დღეს წარმოგიდგენთ ФСБ-ს აგენტის ოთარ ფარცხალაძის კლანის წევრებს, რომელთა მეშვეობით ის მართავს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და საბაჟოს, ფინანსურ პოლიციას, სტრატეგიულ ობიექტებს, ბათუმისა და ფოთის პორტებს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და საბაჟო დეპარტამენტს ის აკონტროლებს მისი უშუალო ლობირებით დანიშნული კადრის, ვლადიმერ ხუნდაძის ხელით, რომელიც ფორმალურად არის მოადგილე, მაგრამ რეალურად ის მართავს ФСБ -ს სქემებს ფინანსთა სამინისტროში, ის უზრუნველყოფს სანქცირებული ტვირთების გადაადგილებას შეუფერხებლივ, რადგან უშუალოდ აკონტროლებს საბაჟოს.

მისი უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება ფინანსური პოლიციის **ხელ**მძღვანელი სოსო რამიშვილი. ფარცხალაძე არის ფინანსური პოლიციის რეალური მმართველი, უწყება, რომელიც გამოყენებულია ბიზნესის ტერორისთვის და სრულად აკონტროლებს ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანაში.

ФСБ-ს აგენტი ოთარ ფარცხალაძე და გრიგოლ ლილუაშვილი აკონტროლებენ სტრატეგიულ ობიექტებს ქვეყანაში, მათი ლობირებით დაინიშნა ბათუმის

ნავთობტერმინალში საეჭვო წარსულის (შევარდნაძის დროინდელი უშიშროების მინისტრის შვილი) და რუსულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირი, ვინმე გივი ქუთათელაძე პორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად.

ФСБ-ს აგენტი ოთარ ფარცხალაძის და გრიგოლ ლილუაშვილის უშუალო ლობირებით გაუშვეს ბათუმის ნავთობტერმინალიდან სახელმწიფო დაცვის სამსახური და დღეს პორტს „იცავს“ შევარდნაძის პოლიციის დროინდელი მაღალჩინოსნის, სოსო ალავიძის კომპანია. ესეც, სავარაუდოდ, უშუალოდ ФСБ-ს პირდაპირი მოთხოვნა იყო.

ფოთის პორტს და ნავთობტერმინალს ასევე აკონტროლებს ФСБ-ს აგენტი ოთარ ფარცხალაძე და მისი აღმასრულებელი „ხელი“ გრიგოლ ლილუაშვილი, კომპანია პეტროკასით, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისივე თქმით, ეს არის რუსული ФСБ-ს გავლენების არასრული სქემა და სანქციები ფარცხალაძის შემდეგ, აუცილებლად შეეხება მისი კლანის წევრებსაც.

შეგახსენებთ, 14 სექტემბერს, აშშ-მა საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე დაასანქცირა. სახელმწიფო დეპარტამენტის თქმით, „ქართველრუს ოლიგარქთან“ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური მუშაობდა, რათა მას საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკაზე რუსეთის სასარგებლოდ მოეხდინა გავლენა. 15 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ ფარცხალაძესთან დაკავშირებით „მიმდინარეობს საკითხის შესწავლა“, თუმცა გამოძიება ამ დრომდე არ დაწყებულა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რა ვალდებულება ჰქონდა სააკაშვილს რუსეთის წინაშე?!

ვახტანგ ძაბირაძე: „2024 წლის საარჩევნო სიაში კობახიძე და მისი გუნდიც აღარ იქნება წარმოდგენილი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, სააკაშვილმა განაცხადა, რომ პუტინი საქართველოს ყველა ხელისუფლებას სთხოვდა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების დანიშვნას, რაზეც ჩემგან უარი მიიღო. „ქართული ოცნება“ შეძლებს ფარცხალაძის სკანდალის დავიწყებას?

– სანამ ფარცხალაძის სკანდალზე ვისაუბრებდე, მინდა სააკაშვილის ამ განცხადებას გამოვეხმაურო. მის ამ განცხადებაში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი, რადგან 1992-93 წლებში შევარდნაძემ ძალოვანი უწყების ყველა ხელმძღვანელი სწორედ ამ პრინციპით დანიშნა და ეს არავისთან კითხვას არ იწვევდა. ყველამ იცოდა, რომ ეს ხალხი რუსული ნიშნით იყვნენ დანიშნულები. გასაგებია, შევარდნაძეს რუსეთთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ სააკაშვილს რა ნიშნით მოსთხოვეს?!

„ვარდების რევოლუციის“ დროს თბილისში ივანოვი ჩამოვიდა. ეს ჩამოსვლა ყოველთვის აჩენდა კითხვას. სანამ შევარდნაძეს შეხვდებოდა, შეხვდა სამეულს, სააკაშვილს, უვანიასა და ბურჯანაძეს. ამ შეხვედრის მერე შევარდნაძემ თქვა – გადავდექი! მერე ბათუმში გაფრინდა და ასლან აბაშიძე წაიყვანა მოსკოვში. ამიტომ, ჩნდება კითხვა, რა ვალდებულება ჰქონდა სააკაშვილს რუსეთის წინაშე?! რატომ მოსთხოვა პუტინმა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების დანიშვნა?! ამბობს, უარი უთხრა, მაგრამ უთხრა კი და მართლა არ დანიშნა?! ჩვენ ეს არ ვიცით. კითხვები იყო მერაბიშვილთან დაკავშირებითაც. თუმცა, ეს მხოლოდ კითხვებია. დანამდვილებით არავინ არაფერი იცის. ერთხელ და სამუდამოდ ამ კითხვებს პასუხები რომ გაეცეს, საჭიროა ე.წ. კაგებეს არქივების გახსნა.

– ამბობენ, რომ ეს არქივები გატანილია.

– დიახ, ეს არქივები ნამდვილად არის რუსეთში გატანილი, მაგრამ მისი გახსნა შესაძლებელია რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ. მიფიქრია, რომ ამ არქივების გახსნას ვეღარ მოვესწრებოდი, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი, ვრწმუნდები, რომ ეს არქივები ძალიან მალე გაიხსნება. ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული ამ აბსურდში ვართ. ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას ერთხელ და საბოლოოდ.

– ფარცხალაძის საქმეს რომ დავუბრუნდეთ, სუს-ს უნდა ჰქონოდა ეს ინფორმაცია?

– რა თქმა უნდა! ასეთი ინფორმაცია თუ არა აქვთ, აბა რა ინფორმაცია აქვთ?! „ქართული ოცნება“ ძალიან მძიმე დღეშია. ცალკე ღარიბაშვილის თვითმფრინავის სკანდალი, ახლა ფარცხალაძის სკანდალი. შეუძლებელია, ეს ყველაფერი ჩაფარცხონ. თუ მოინდომებენ მის ჩაფარცხვას, ახალი სკანდალი გასკდება, რადგან სისტემამ რღვევა დაიწყო. ავტორიტარიზმის სუსტი წერტილი სწორედ ამაშია. შიდა რღვევა იწყება. ან მეორე – ავტორიტარიზმიდან დიქტატურაში უნდა გადახვიდე. საქართველოში კი დიქტატურის დამყარების რესურსი არ არსებობს, შეუძლებელია. ვინც მოინდომა, ყველამ კისერი წაიმტვრია.

– თქვენ თქვით, რომ „ოცნება“ მძიმე დღეშია. 2024 წელს სერიოზული არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილი „ქართულ ოცნებას“ არჩევნებამდე მიიყვანს?

– არა, გამორიცხულია. წლის ბოლოსთვის ღარიბაშვილსა და მის გუნდს შეცვლიან. უფრო მეტსაც გეტყვით, საპარლამენტო გუნდიც შეიცვლება.

– რას გულისხმობთ?

– 2024 წლის საარჩევნო სიაში კობახიძე და მისი გუნდიც აღარ იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ეს არაფერს მოუტანს „ქართულ ოცნებას“, იმდენად არიან ჭაობში ჩაძირულები. ვინ უნდა მოვიდეს, ვინ უნდა იყოს ახალი პრემიერი, რომ „ოცნების“ გადარჩენა შეძლოს. ეს წარმოუდგენელი მგონია. ეს იქნება დროებითი მანევრი. რღვევის პროცესი ისეა დაწყებული, რომ უკვე შეიძლება თვითგადარჩენაზე იფიქრონ გუნდის შიგნით. უკვე ისე ღრმად არიან ჩაძირულები, რომ სკანდალების ჯაჭვი ვეღარ გაჩერდება. ერთს მეორე მოყვება, ვეღარაფერი შეაკავებს ამ ჯაჭვს. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, კიდევ ნაციონალურ მოძრაობას უჭირავს ეს რეჟიმი.



„საქართველოში დიქტატურის დამყარების რესურსი არ არსებობს, შეუძლებელია. ვინც მოინდომა, ყველამ კისერი წაიმტვრია“

– გასაგებია, რასაც ამბობთ. ალტერნატივის პრობლემაა?

– ცხადია, რა თქმა უნდა! ამიტომ არის მნიშვნელოვანი მესამე ცენტრის ფორმირება, რაც შეიძლება სწორად და ჭკვიანურად. შეიძლება ახლა ამ ოპოზიციაზე ბერი არაფერია დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს ბანკებში ანგარიშებზე წვდომა აღუდგება – ეროვნული ბანკის ახალი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, 2022 წლის 26 თებერვლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებით, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები სრულად მოქმედებენ აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ფინანსური სანქციების შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ ქართული საფინანსო სექტორი მოქმედებს სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით. საქართველო არასდროს ყოფილა და არც მომავალში იქცევა სანქციების გვერდის არიდების ადგილად.

ამასთან, ამ პროცესში, ადგილი აქვს პირველ პრეცედენტს, როდესაც ასეთი სანქციები შეეხო საქართველოს მოქალაქეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს იცავს საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს ეროვნული ბანკი, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციით და უდანაშაულობის პრინციპით, მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეზე არ შეიძლება გავრცელდეს საერთაშორისო სანქციები, თუ ქართულ სასამართლოში მის მიმართ შესაბამის საქმეზე არ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს ბანკებში ანგარიშებზე წვდომა აღუდგება, ეროვნულმა ბანკმა ახალი გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სანქციები არ გავრცელდება საქართველოს მოქალაქეზე თუ მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ არის დამდგარი.

– საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფილად რეალიზების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და აამოქმედა ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №208/04 ბრძანებაში, რომლის თანახმად, ამ წესით გათვალისწინებული სანქციათა რეჟიმები ვრცელდება:

ა) საქართველოს მოქალაქეზე, თუ მის მიმართ დაწესებული სანქციების საფუძველთან დაკავშირებით გამოტანილია საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ) საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომლის წილს ფლობს (ფლობენ) სანქცირებული საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), თუ დაწესებული სანქციების საფუძველთან დაკავშირებით გამოტანილია საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობის პროცესში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით შეისწავლის და განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანს სანქციების გვერდის არიდების თითოეულ სავარაუდო შემთხვევას და რისკებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მზად არის საერთაშორისო პარტნიორებს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების დეტალების შესახებ, – აღნიშნულია სებ-ის გადაწყვეტილებაში.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყოფილ გენერალურ პროკურორს ოთარ ფარცხალაძეს საბანკო აქტივებზე წვდომა და ფინანსური ტრანზაქციების შესრულება შეზღუდული აქვს. ამის პასუხად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ სებ-ის გადაწყვეტილება „პირდაპირ ეწინააღმდეგება“ საქართველოს კონსტიტუციას.

ცნობისთვის, 14 სექტემბერს აშშ-მ ახალი სასანქციო პაკეტის ფარგლებში „ქართველი-რუსი ოლიგარქი“ ოთარ ფარცხალაძე დაასანქცირა. მათივე ცნობით, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური („ეფესბე“) აღნიშნულ ოლიგარქთან მუშაობდა, რათა გავლენა მოეხდინა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე რუსეთის სასარგებლოდ.

ოთარ ფარცხალაძე საქართველოს მთავარ პროკურორად 2013 წლის 7 ნოემბერს დაინიშნა, ამავე წლის 30 დეკემბერს გადადგა.

არჩილ თალაკვაძე: „არ ვიცი, ფარცხალაძეს რა მოქალაქეობა აქვს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია“

– ფარცხალაძის საკითხზე ორდღიანი პროცესი, სადაც ოპოზიცია მხოლოდ ამაზე საუბრობს, მეტყველებს, რომ ოპოზიცია გაკოტრებულია, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე–სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

თალაკვაძეს აქვს მოლოდინი, რომ ფარცხალაძის ადვოკატები გაერკვევიან, რის საფუძველზე დაასანქცირეს ფარცხალაძე. რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად კანონიერად ფლობს ფარცხალაძე საქართველოს მოქალაქეობას მას შემდეგ, რაც რუსეთის მიიღო, თალაკვაძე აცხადებს, რომ ეს შესაბამისი უწყებების შესასწავლი საკითხია.

– მე არ ვიცი, ფარცხალაძეს რა მოქალაქეობა აქვს, მედიით შევიტყვე, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია. პარლამენტს ფარცხალაძესთან და მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით საკითხი არ შეუსწავლია, შესაბამისად, ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც მედიით არის ჩვენთვის ცნობილი. ორმაგი მოქალაქეობის და მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხსაც არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი ინსტიტუტები, ამიტომ მათი გასარკვევია და მათი შესასწავლია ეს საკითხი.

ოთარ ფარცხალაძის საკითხზე ორდღიანი პროცესი, სადაც ყველა ოპოზიციონერი რადიკალური ბანაკიდან, მათი მედია, მათი სპიკერები მხოლოდ და მხოლოდ ამ საკითხზე საუბრობენ მაშინ, როდესაც საქართველოს დღის წესრიგის მთავარი საკითხები არის ევროინტეგრაცია, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა, ეკონომიკური, სოციალური თემები, ჯანდაცვის საკითხები, მეტყველებს იმაზე, რომ რადიკალური ოპოზიცია არის გაკოტრებული. თვიდან თვემდე იკვებებიან და თავი გააქვთ ასეთი თემებით. რაც მედია ამით დაინტერესდა, მეც დავინტერესდი, გავეცანი სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციას. ამ რაუნდში არის 200-ზე მეტი ადამიანი დასანქცირებული სხვადასხვა სექტორიდან და ათეულობით ადამიანს მოხსნილი აქვს სანქციები, შესაბამისად, მოლოდინი მაქვს, რომ ფარცხალაძის ადვოკატები გაერკვევიან, რა საფუძვლებით მოხდა დასანქცირება, რა არის კონტრარგუმენტები და ა.შ. ფაქტია, უკვე მოხდა დასანქცირება საქართველოში ჩატარებული გამოძიების გარეშე, ან ერთობლივი გამოძიების გარეშე უკვე მიღებულია, შესაბამისად, უკვე პოსტფაქტუმ მოუწევთ ადვოკატებს გაერკვნენ, რა ხდება ამასთან დაკავშირებით, – განაცხადა თალაკვაძემ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერალურ კანცლერს ოლაფ შოლცს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერალურ კანცლერს ოლაფ შოლცს შეხვდა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი.

ოლაფ შოლცთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის უპრეცედენტო დინამიკას და აღნიშნა, რომ საქართველო აფასებს გერმანიის ძლიერ პოლიტიკურ გზავნილებს.

მხარეებმა საქართველოსა და გერმანიას შორის მჭიდრო და მრავალგანზომილებიანი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაძლიერების მზადყოფნა გამოთქვეს.

ირაკლი ღარიბაშვილისა და ოლაფ შოლცის შეხვედრა ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა.

სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტი იუსტიციის სამინისტროდან ელოდება ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე დასკვნას“

– პრეზიდენტი იუსტიციის სამინისტროდან ელოდება ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე დასკვნას, რომელსაც დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი წერს.

„საქართველოში რუსული გავლენა პრობლემად რჩება“

მმართველი გუნდი ეროვნული ბანკის წინააღმდეგ



მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ყოფილი გენპროკურორის, ოთარ ფარცხალაძის მიმართ ამერიკული სანქციების შემოღებაზე საქართველოს მმართველი გუნდის რეაქცია იყო მისგან მაქსიმალური დისტანცირება, მასთან რაიმე კონტაქტის უქონლობა. აქა-იქ გაისმა მეტი კონკრეტიკისკენ მოწოდება.

რაც დრო გადის, „ქართული ოცნება“ და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ჯგუფი თუ პიროვნება ღიად გამოთქვამს მხარდაჭერას სანქცირებული ფარცხალაძის მიმართ. აქ განსაკუთრებით აგრესიული არიან პრორუსული ჯგუფები, რომლებიც გაჰკივიან, რომ საქართველოს სჯიან „მეორე ფრონტის“ არგახსნის გამო. კრემლის პროპაგანდისტებს „მაშველად“ წამოეწიათ სუს-ის განცხადება. პრორუსებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ დასავლეთი საქართველოში „რადიკალური ოპოზიციის“ მონაწილეობითა და უკრაინის ჩართვით არეულობას, „მაიდანს“ და ხელისუფლების დამხობას ამზადებს.

ფარცხალაძის მიმართ გამოსარჩლება იმ მასშტაბებს აღწევს, რომ საზოგადოების ნაწილს უკვე გზა-კვალს ურევენ. საქართველოსა და იმავდროულად რუსეთის მოქალაქე ფარცხალაძე პირველი სანქცირებული ქართველია. მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, ოთხ ქართველ მოსამართლეს აშშ-ში შესვლა აეკრძალა, რაც მსუბუქი შეზღუდვაა და ფაქტობრივად სანქციად ვერ ჩაითვლება.

აშშ-ის ბოლო სანქციები (14 სექტემბერს გამოცხადებული) შეეხო დაახლოებით 150 იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ისინი წარმოადგენენ რუსეთს, თურქეთს, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს. სანქციების მიზანია რუსეთის წინააღმდეგ ადრე შემოღებული სანქციებისგან თავის არიდების, ასევე კრემლის მიერ ტექნოლოგიებზე, ფულსა და ფინანსურ არხებზე წვდომის დაუშვებლობა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, პუტინი ამ საშუალებებს უკრაინაში ომისათვის იყენებს. საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი დოკუმენტში მოხსენიებულია ქართველ-რუს ოლიგარქად და ნათქვამია, რომ მას სანქციები უწესდება რუსეთის მანკიერი ზეგავლენის საპასუხოდ. საუბარია ფარცხალაძის კავშირზე რუსეთის „ფსბ“-სთან. დოკუმენტის თანახმად, ფარცხალაძეს „ფსბ“ იყენებს საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

• • •

„ქვეყნები ფხიზლად უნდა იყვნენ“

– ოთარ ფარცხალაძის დასანქცირება „ფსბ“-სთან კავშირის დადგენის შედეგად სასარგებლო შეხსენებაა, რომ ქვეყნები ფხიზლად უნდა იყვნენ შესაძლო უცხოური გავლენის მიმართ, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა ეუთოში მაიკლ კარპერტერმა.

მისი შეფასებით, მნიშვნელოვანი შემთხვევაა, როცა აშშ ასანქცირებს კორუმპირებულ თანამდებობის პირებს (ყოფილ თანამდებობის პირებსაც), რომლებიც შესაძლოა იყვნენ მავნე უცხოური გავლენის აგენტები. ამ შემთხვევაში, რუსეთის გავლენის აგენტები.

– ქვეყნები ფხიზლად უნდა იყვნენ შესაძლო უცხოური გავლენების მიმართ. როცა საქმე ეხება საქართველოს, ეს საკითხი კვლავინდებურად რჩება პრობლემად, რომელიც უნდა აღელვებდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს, – აღნიშნა აშშ-ის წარმომადგენელმა.

ფარცხალაძის თქმით, მისი საწინააღმდეგო სანქციები კონკრეტული პირების ინსპირირებულია. გამოდის, რომ აშშ „ამ კონკრეტული პირების“ ჭკუაზე დადის.

სუსმა გამოაცხადა, რომ საკითხს შეისწავლის. გამოძიების დაწყებაზე უწყებას განცხადება არ გაუკეთებია.

• • •

საბანკო შეზღუდვები და გამოხმაურება

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ფარცხალაძეს მის საკუთრებაში არსებულ საბანკო ანგარიშებზე წვდომა შეეზღუდა. ცნობილია, რომ 2022 წლის 26 თებერვლიდან ეროვნული ბანის მითითებით საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები მოქმედებენ აშშ-ის, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებული ფინანსური სანქციების შესაბამისად.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ფარცხალაძის ინტერესი ამ მიმართულებითაც დაიცვა. ის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ანტიკონსტიტუციურს უწოდებს.

– ის სანქციები, რომლებიც დაწესდა, არის სისხლისსამართლებრივი. ასეთ დროს მოქალაქეს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. ეს ვრცელდება ოთარ ფარცხალაძეზე, როგორც საქართველოს მოქალაქეზე. როდესაც საქმე ეხება გადაწყვეტილების მიღებას, უპირატესობა ენიჭება კონსტიტუციას. უცხოელს შეიძლება შეუზღუდო საქმიანობის წარმოება, მაგრამ როცა საქმე საქართველოს მოქალაქეს ეხება, საქართველო მოქმედებს სხვა პასუხისმგებლობით და ეს პასუხისმგებლობა მას, პირველ რიგში, კონსტიტუციით ეკისრება, – აღნიშნა კობახიძემ.

ამ პოზიციას უპასუხისმგებლოს და დანაშაულებრივს უწოდებს „ევროოპტიმისტების“ პოლიტიკური ჯგუფის წევრი რომან გოცირიძე. მისი დასკვნით, ეროვნული ბანკი სწორად მოიქცა.

– ეროვნულ ბანკს ფარცხალაძისათვის ანგარიშები რომ არ გაეყინა, მოხდებოდა საქართველოს საბანკო სისტემისა და, შესაბამისად, მთელი ეკონომიკის კოლაფსი, უცხოური ბანკები შეწყვეტდნენ ქართულ ბანკებთან ურთიერთობას. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის განცხადება, რომ ეროვნულმა ბანკმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია და, შესაბამისად, კონსტიტუცია, არის უპასუხისმგებლო. უფრო მეტიც, დანაშაული. ესაა ეროვნულ ბანკზე პირდაპირი ზეწოლა, – განაცხადა გოცირიძემ.

პარტია „გირჩის“ თავმჯდომარე იაგო ხვიჩია ეჭვობს, რომ ფარცხალაძემ საბანკო მომსახურებით ისარგებლა და შეზღუდვის გადაწყვეტილება ამის შემდეგ იქნა მიღებული.

– ეჭვი მაქვს, „ქეშის“ გამოტანა მოასწრო და მერე შეზღუდეს, – ამბობს ხვიჩია, რომელსაც არ ჰგონია, რომ ფარცხალაძეს საქართველოს ხელისუფლება რეალურად შეავიწროებს, მის საქმეს კი ვინმე გამოიძიებს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესრულების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისი თქმით, საქართველოს ყველა მიმართულებით აქვს პროგრესი, მთავრობამ რეკომენდაციების შესრულებისთვის მაქსიმუმი გააკეთა და პროცესი გრძელდება.

შარლ მიშელთან შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე გამოკვეთილი ოთხივე საკითხი, რომელზეც პროგრესის ხილვა სურთ სექტემბრის ბოლომდე, ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად დარეგულირდება.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მოწინავე პოზიციები აქვს, რასაც მოწმობს ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, და ევროინტეგრაციის გზაზე რეფორმების მიმართ საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები მტკიცეა. მისივე თქმით, არსებული გეოპოლიტიკური ვითარების, ასევე დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველო კანდიდატის სტატუსს იმსახურებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა შარლ მიშელს ევროინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

• • •

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველს – დერეკ შოლეს შეხვდა.

ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები განიხილეს, ასევე – ორი ქვეყნის საერთო ინტერესების გამყარების მიზნით არსებული თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვეს.

• • •

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტიერეშს შეხვდა.

გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა მდგრადი განვითარების მიმართულებით გაეროს მიერ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე ისაუბრეს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს გაეროს გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებულ ტრაქტატებს, რომელთა მიზანია, უკეთესად მოერგოს გაერო არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებს.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო აფასებს ანტონიო გუტიერეშის ძალისხმევას „მშვიდობის ახალი დღის წესრიგის“ შემუშავებაში, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და გაეროს წესდებას ეყრდნობა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურა შეიცვალა, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და მომდინარე რისკები. არსებული გამოწვევების დასაძლევად კი ერთიანი ძალისხმევით მუშაობაა საჭირო. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე საუბრისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გაეროს ფარგლებში მიღებული ანგარიშები და რეზოლუციები საერთაშორისო დღის წესრიგში ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული ვითარების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმებია.

სამართალი

შსს-ს მოქმედი თანამშრომელი, რომელმაც ყოფილი ცოლი და სიდედრი მოკლა, გურამ ქადეიშვილია

მოკლული ვერონიკა ქუმსიაშვილია

კაცი, რომელმაც თბილისში, დოლიძის ქუჩაზე ყოფილი ცოლი და სიდედრი მოკლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი გურამ ქადეიშვილია. მან თვითდაზიანება მიიყენა თავის არეში. ბრალდებული ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში, რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

მეზობლები ამბობენ, რომ ქალი ბინაში ქირით ცოტა ხნის წინ გადავიდა.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობას უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული კაცისა და მოკლულის არასრულწლოვანი შვილები, 13 და 15 წლის მოზარდები შეესწრნენ. საქმის ოქროს მოწმეა ერთი პირი, რომელიც სროლის დროს ტუალეტში იყო ჩაკეტილი.

ადგილობრივების თქმით, მომხდარის შესახებ მას შემდეგ გაიგეს, რაც გარდაცვლილის შვილები განწირული ხმით ყვიროდნენ და დახმარებას ითხოვდნენ.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობას.

მოკლული ახალგაზრდა ქალი ვერონიკა ქუმსიაშვილია.

ქურდობა რუსთავის სკოლაში – მოპარულია პირველკლასელთათვის განკუთვნილი 49 ლეპტოპი

რუსთავში, 23-ე საჯარო სკოლიდან 49 ლეპტოპი მოიპარეს, – „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 23-ე საჯარო სკოლიდან ორმა 20 წლამდე პირმა, პირველკლასელთათვის განკუთვნილი ნოუთბუქები სწავლის დაწყებამდე 2 დღით ადრე მოიპარეს.

გამოცემა წერს, რომ ბიჭები სკოლაში ღამით ფანჯრიდან შეიპარნენ. სამართალდამცავებმა გამოძიების შედეგად ახალგაზრდა მამაკაცები რუსთავში დაიკავეს.

ლეპტოპები პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

პოლონეთში საქართველოს მოქალაქემ 45 წლის კაცი დაჭრა

პოლონეთში საქართველოს მოქალაქემ, 51 წლის კაცმა, უკრაინის მოქალაქე, 45 წლის კაცი დაჭრა. ამის შესახებ ინფორმაცია პოლონურ მედიაში ვრცელდება.

მედიის ცნობით, შემთხვევა პოლონეთის ქალაქ ბოლშევოში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

ცნობილია, რომ დაჭრილს დაზიანებები კისრისა და ზურგის არეში აღენიშნება. დაშავებული კლინიკაშია გადაყვანილი.

ადგილობრივმა სასამართლომ კი საქართველოს მოქალაქეს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ლავრენტი ბერია – საიდუმლო ოპერაციები მსოფლიო ომის წინ

ეჟოვის დამხობის შემდეგ ბერია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა საიდუმლო პოლიციას. ამან ლავრენტი ერთ-ერთ ძლიერ, გავლენიან ფიგურად გადააქცია საბჭოთა იმპერიაში.

რამდენად სწორია ტერმინი „ბერიასეული გალღობა“.

ზოგიერთი მკვლევარისაგან ხშირად მოისმენთ ფრაზას: შინსახკომის სათავეში ბერიას მოსვლის შემდეგ ბოლო მოეღო მასობრივ რეპრესიებს. მეტიც, თითქოს ლავრენტის ინიციატივით გაათავისუფლეს რიგი პოლიტპატიმარი. ადამიანურად გასაგებია, რომ ამის დამტკიცებას ცდილობს ბერიას ვაჟი სერგო, ავტორი წიგნისა „მამაჩემი ლავრენტი ბერია“. ამავე დროს, გაოცებას იწვევს ის, რომ ამას ჯიუტად ამტკიცებს ზოგიერთი ავტორიტეტული მეცნიერი, თუმცა ვერ მოჰყავს ვერც ერთი მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი საბუთი.

მასობრივი რეპრესიები სსრკ-ში ანუ დიდი ტერორი სტალინის ბრძანებით დაიწყო. შესაბამისად, მისი შეჩერება ან შესუსტებაც მხოლოდ სტალინს შეეძლო. საიდუმლო პოლიციის შეფ ბერიას არ გააჩნდა საკმარისი ძალაუფლება, რათა გაეძლიერებინა ან შეესუსტებინა ტერორი. ბერია მხოლოდ სტალინის ნების შემსრულებელი იყო. ლავრენტიმ ეს ძალიან კარგად იცოდა, ამიტომაც არასოდეს აძლევდა თავს ზედმეტის უფლებას, არ ერეოდა იმ საქმეებში, რაც მას არ ეხებოდა.

დიდი ტერორით სტალინმა მიაღწია თავის მიზნებს, ამიტომაც 1938 წელს ის შეაჩერა. მოსახლეობა რეპრესიებით ზარდაცემული იყო. საზღვარგარეთაც ბევრი არასასურველი ინფორმაცია გაიპარა. შესაბამისად, აუცილებელი იყო გარკვეული ტაქტიკური ნაბიჯი და სტალინმა ის გადადგა. მან მთავარ დამნაშავედ „კარიერისტი ეჟოვი“ გამოაცხადა. ზოგიერთი უდანაშაულოდ რეპრესირებულიც გაათავისუფლეს, თუმცა ათასობით ადამიანი კვლავაც გულაგში რჩებოდა.

❖ ❖ ❖

მარშალ ბლიუხერის საქმე

– შენ კახპა ხარ! გესმის?! კახპა! შენ კაპიტალისტებს მიეყიდე!

ასე უყვიროდა ბლიუხერი დაპატიმრებულ ტუხაჩევსკის და კატეგორიულად მოითხოვდა მის დახვრეტას. ბოლოს ტუხაჩევსკიმ ვერ მოითმინა.

– მოაშორეთ აქედან ეს ბლიუხერი! ან ჩემთან ერთად დასაჯეთ! ვითომ რითაა ჩემზე უკეთესი?

– მაგის დროც მოვა! – სერიოზულად მიუგო სტალინმა.

ბლიუხერი ამ სიტყვებზე გაფითრდა.

სამოქალაქო ომის გმირი, შორეულ აღმოსავლეთში წითელი დროშის ძლევამოსილად აღმმართველი ბლიუხერი კარგა ხანს რჩებოდა ხელშეუხებელ ფიგურად. დიდმა ტერორმა შეიწირა მისი კოლეგები – ტუხაჩევსკი, იაკირი, გამარნიკი, პუტნა, პრიმაკოვი. დიდი ტერორი დასრულდა. ბევრს, მათ შორის ბლიუხერსაც, ეგონა, რომ გადარჩა. სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ბლიუხერი დაპატიმრეს. ეჟოვი უკვე დაპატიმრებული იყო, შინსახკომს კი ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.

ამბობენ, რომ ბლიუხერის ბედი ხალხინ-გოლის ბრძოლებმა გადაწყვიტეს. მაშინ ხომ აშკარად გამოჩნდა წითელი არმიის მოუმზადებლობა. ბლიუხერის დაკითხვებს თავად ბერია ესწრებოდა. მარშალისგან მოითხოვეს ეღიარებინა, რომ იაპონელებზე მუშაობდა.

– ეს ხომ სიცრუეა! – წამოიძახა ბლიუხერმა.

დაიწყო წამება. ამბობენ, რომ ბლიუხერს ამ დროს გული გაუსკდა და მოკვდა. საბჭოთა გაზეთებში არ დაბეჭდილა არავითარი ცნობა მისი სიკვდილის შესახებ. დაწესებულებებიდან უბრალოდ ჩამოხსნეს მისი პორტრეტები. მოქალაქეები ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ბლიუხერი ხალხის მტერი აღმოჩნდა, ამიტომაც დაუპატიმრეს და გააქრესო.

❖ ❖ ❖

მიზანშია ბალტიისპირეთი

1939 წელს სსრ კავშირმა მიაღწია ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში თავისი ბაზების განლაგებას. დაიწყო სამზადისი ბალტიისპირეთის ოკუპაციისთვის.

ბერია პირადად ადევნებდა თვალს ბალტიელთა წინააღმდეგ სპეცოპერაციების მომზადებას. მისი აგენტები აქტიურად მუშაობდნენ როგორც მემარცხენე-ლიბერალურ, ასევე ანტიკომუნისტურ წრეებშიც. 1939 წელს საბჭოთა აგენტების სიას შეემატნენ ცნობილი ესტონელი პოეტი იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი), ლატვიელი მწერალი ვილის ლაცისი და ა.შ. ბერიას მსტოვრებს ინტენსიური კავშირი ჰქონდათ ემოგრაციაში მცხოვრებ ლიტვის ექს-პრემიერ ვოლდემარასთან, თუმცა ის მტკიცე ანტიკომუნისტი იყო. 1939 წელს დამყარდა კავშირი ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ მუნტერსთან, რომელიც საბჭოთა აგენტი გახდა.

ბერია მოთმინებით ქსოვდა თავის ქსელს. 1940 წლისთვის, როდესაც ბალტიისპირეთის ოკუპაცია-ანექსია რეალურად დადგა დღის წესრიგში, ბერიამ სტალინს მოახსენა:

– ბალტიაში არ იქნება არავითარი შეიარაღებული წინააღმდეგობა! ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის არმიები პარალიზებულნი არიან!

ასეც მოხდა. სსრ კავშირმა თოფის გასროლის გარეშე დაიკავა ბალტიისპირეთი. ბერიას თანაგუნდელი დეკანოზოვი საგანგებოდ მიავლინეს ლიტვაში, რათა უზრუნველეყო ამ მხარის სოვეტიზაცია. რუსების შემოსვლისთანავე ბალტიაში მასობრივი რეპრესიები დაიწყო. ბერიელებს წინასწარ ჰქონდათ გამზადებული შავი სიები.

ლავრენტიმ იცოდა, რომ ლატვიის პრეზიდენტი ულმანისი მთელი ოქროს მარაგის ინგლისში გატანას აპირებდა. ამიტომაც მუნტერსს უბრძანეს უზრუნველეყო მისი ხელში ჩაგდება. მუნტერსი ხედავდა, რომ რუსებს ლატვიის ანექსია ჰქონდათ განზრახული, ამიტომაც მთელი ოქროს მარაგის მითვისება და საზღვარგარეთ მიმალვა გადაწყვიტა. მან ეს ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ულმანისმა მოახერხა ოქროს მარაგის შეუფერხებლად გატანა. ბერიას რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. მისი ბრძანებით, მუნტერსი დააპატიმრეს და მოსკოვში ჩაიყვანეს. მის დაკითხვას თავად ლავრენტი აწარმოებდა.

– ჩემი გაცურება მოინდომე, არა?! ამის გამო სასტიკად დაისჯები!

მუნტერსს გულაგში უკრეს თავი.

❖ ❖ ❖

ბულაკ-ბალახოვიჩის ლიკვიდაცია

ბელორუსიის ეროვნული გმირი, სტანისლავ ბულაკ-ბალახოვიჩი, მთელი ოცი წლის მანძილზე იმყოფებოდა საბჭოთა უშიშროების გაძლიერებული ყურადღების ქვეშ. მის ლიკვიდაციას ჩეკისტები ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ცდილობდნენ. ყველა ცდა ამაო გამოდგა. ბალახოვიჩი, რომელიც პოლონეთში დამკვიდრდა, სისხლს უშრობდა რუსებს. ის პოლონეთის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა.

1939 წელს პოლონეთი დაეცა. ბერიას მოახსენეს, რომ ბალახოვიჩი ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა და აქტიურ ანტიფაშისტურ მოღვაწეობას ეწეოდა.

– ბალახოვიჩი პოლონური ანტინაცისტური იატაკქვეშეთის აქტიური წევრია. მან შემოიკრიბა ბელორუსული ემიგრაციის ყველაზე თავზეხელაღებული, შეურიგებელი ნაწილი. ისინი აპირებენ პარტიზანული მოქმედებები საბჭოთა ტერიტორიაზეც გაავრცელონ.

– შეუძლიათ ამის გაკეთება? – დაინტერესდა ბერია.

– დიახ, ლავრენტი პავლოვიჩ. ბალახოვიჩს ბევრი მომხრე ჰყავს დასავლეთ ბელორუსიაში. მათი ოცნებაა ანტინაცისტური, ანტიკომუნისტური ბრძოლის გაშლა. ბალახოვიჩის ემისრები კონტაქტში შევიდნენ უკრაინელ ნაციონალისტებთან.

ბერიამ გასცა განკარგულება გაეაქტიურებინათ ღონისძიებები ბალახოვიჩის წინააღმდეგ. მალე ლავრენტის მოახსენეს: დადგინდა ბალახოვიჩის კონსპირაციული ბინის მისამართი ვარშავაში.

– შემდეგ რა ვიღონოთ, ლავრენტი პავლოვიჩ? ვარშავას ხომ გერმანელები აკონტროლებენ?! ბერიამ გაიღიმა.

– თუკი არ შეგიძლია მტრის მოკვლა, მაშინ ის სხვისი ხელით უნდა მოიშორო.

მალე ბერიელებმა გესტაპოს ბალახოვიჩის თავშესაფრის ზუსტი კოორდინატები მიუგდეს. გერმანელებმა სახლს ალყა შემოარტყეს.

– ბულაკ-ბალახოვიჩ! ვიცით, რომ აქ იმალები! გამოდი აწეული ხელებით და გპირდებით, რომ შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს!

– ბელორუსები მტერს არ ნებდებიან! – დაიძახა ბალახოვიჩმა და ცეცხლი გახსნა.

ორმხრივი სროლის შედეგად 8 გესტაპოელი დაიღუპა. თავად ბალახოვიჩი მძიმედ დაიჭრა. ის ვარშავის გესტაპოში უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს. ნახევარი საათის შემდეგ ბალახოვიჩი გარდაიცვალა.

❖ ❖ ❖

რუმინული ვარიანტი

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი არ ნიშნავდა სსრკ-სა და გერმანიას შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ორი მტაცებლის ინტერესები არაერთ რეგიონში მწვავედ შეეჯახა ერთმანეთს. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა იყო ნავთობით მდიდარი რუმინეთი.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად რუმინული პროვინცია ბესარაბია სსრკ-ს ერგო, მაგრამ სტალინს სურდა კონტროლი მთელ რუმინეთზე დაემყარებინა.

მაშინდელ რუმინეთში მართლაც უმძიმესი ვითარება შეიქმნა. მეფე კაროლ II-მ უბრძოლველად დაუთმო საბჭოთა კავშირს ბესარაბია, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კაროლ II დაამხეს. ტახტზე მისი ახალგაზრდა ვაჟი, მიხაი I ავიდა, თუმცა მისი ძალაუფლება უფრო სიმბოლური იყო. რეალურ ხელისუფლებას ფლობდა გენერალ ანტონესკუსა და ულტრარასისტული ლეგიონერთა მოძრაობის კოალიცია. ანტონესკუს პრემიერის პოსტი ეკავა, ლეგიონერთა ლიდერი ხორია სიმა კი ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. მალე ლეგიონერებსა და ანტონესკუს შორის გაჩაღდა ბრძოლა ძალაუფლებისთვის. უპირატესობა ანტონესკუს მხარეს იყო. ინტელექტით, ვაჟკაცობით, პატიოსნებით ის ბევრად აღემატებოდა ლეგიონერთა ლიდერებს. ანტონესკუს, როგორც პირველი მსოფლიო ომის გმირს, საკმაო ავტორიტეტი გააჩნდა ხალხში. ამიტომაც ჰიტლერმა სწორედ მასზე დადო ფსონი. ლეგიონერთა ლიდერები ამან აღაშფოთა. მათი იდეოლოგია ხომ ასე ახლოს იდგა ჰიტლერულთან. ლეგიონერებმაც თვალი მოსკოვს მიაპყრეს. ხელისუფლებაში მოსვლის სანაცვლოდ ისინი რუსებს ბაზების განთავსებასა და რუმინულ ნავთობზე კონტროლის დამყარებას ჰპირდებოდნენ.

სტალინმა საგანგებოდ გამოიძახა ბერია. დიქტატორს აინტერესებდა, რა ძალები გააჩნდათ რუმინელ ნაცისტებს. ბერიამ ამომწურავი მოხსენება მიართვა. ლავრენტიმ ფრთხილად შენიშნა:

– ლეგიონერთა მოძრაობა ანტიკომუნისტური, ანტისემიტური მიმდინარეობაა. ლეგიონერების მიერ მოკლულია არაერთი რუმინელი კომუნისტი.

– ამას არ აქვს მნიშვნელობა, – ფიქრიანად წარმოთქვა სტალინმა, – მთავარი ისაა, თუ რამდენად შეიძლება ვერწმუნოთ მათ სიტყვებს ჩვენი ბაზების განლაგების შესახებ.

– ლეგიონერები ჩვენი დახმარების გარეშე ვერ გაიმარჯვებენ, ამხანაგო სტალინ. შესაბამისად, მათ არ რჩებათ მეტი გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ბაზების განლაგებაზე დაგვეთანხმონ. ნავთობის ჭაბურღილებსაც გადმოგვცემენ, ყველაფერზე წავლენ, ოღონდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ.

– თუკი ასეა, იმოქმედე, ლავრენტი.

1941 წლის იანვარში ბუქარესტში ლეგიონერთა პუტჩი დაიწყო. ლეგიონერებმა დაიკავეს ქალაქის ცენტრი და სასტიკად გაუსწორდნენ მოწინააღმდეგეებს. მათ შორის იყო დიდი რუმინელი ისტორიკოსი ნიკოლაე იორგა. ლეგიონერებმა ის ჯერ დაასაჭურისეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. მსგავსი მხეცური მეთოდებით გაუსწორდნენ სხვებსაც. სისხლიან ვაკხანალიას თითქოს ბოლო არ უჩანდა.

ლეგიონერთა ძალადობის პასუხად გენერალმა ანტონესკუმ ჯარის ნაწილები გამოიყვანა. წარმოიქმნა სამოქალაქო ომის საფრთხე, რაშიც უეჭველად ჩაერთვებოდა სსრკ. ამას მხოლოდ გერმანელთა ჩარევამ შეუშალა ხელი. შექმნილ ვითარებაში სტალინმა ვერ გაბედა ჰიტლერელებთან აშკარა კონფრონტაციაზე წასვლა და უკან დაიხია.

გერმანელთა დახმარებოთ, ანტონესკუმ ჩაახშო ლეგიონერთა პუტჩი. ლეგიონერთა ლიდერები (სიმა, ტრიფა და ა.შ.) გერმანელებმა დაატყვევეს, შემდეგ გერმანიაში გადაიყვანეს და საკონცენტრაციო ბანაკებში უკრეს თავი. სხვები რუმინულ ციხეებში გამოამწყვდიეს. გენერალი ანტონესკუ სახელმწიფოს მეთაურად (კონდუკეტორული) გამოცხადდა. რუმინეთი საბოლოოდ გაფორმდა, როგორც გერმანიის მოკავშირე.

❖ ❖ ❖

ეპილოგი

ბერიას მეთაურობით, საბჭოთა საიდუმლო პოლიცია უფრო აქტიური და დინამიური გახდა. ამას ერთსულოვნად ამტკიცებს ყველა მკვლევარი, მათ შორის ისინიც, ვისაც ვერ დავაბრალებთ ბერიასადმი სიმპათიებს.

ლავრენტის აქტიურობამ შეაშფოთა სტალინი. როგორც ჩანს, დიქტატორმა ჩათვალა, რომ ბერიამ ზედმეტად გაშალა ფრთები. 1941 წლის ზამთარში სტალინი წავიდა საიდუმლო პოლიციის მორიგ რეორგანიზაციაზე. შინსახკომს გამოეყო უშიშროების სამმართველო. მას სათავეში მერკულოვი ჩაუდგა. ბერია კვლავაც რჩებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, თუმცა უშიშროება უკვე აღარ იმყოფებოდა მის დაქვემდებარებაში.

მედიცინა

ლეიკოზი

ლეიკოციტები – ეს უჯრედები პასუხს აგებენ იმაზე, რომ ჩვენ ინფექციისგან არ დავიღუპოთ. მათი რაოდენობაა 3-8X10(9 ხარისხად) 1 ლიტრ სისხლში. ბევრი ლეიკოციტია ინფექციების, ლეიკოზის დროს, ცოტა – ძვლის ტვინში ლეიკოციტების წარმოქმნის დათრგუნვისას.

●

ეოზინოფილები – ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 1-5%. ისევე როგორც ნეიტროფილები, მიეკუთვნება არასპეციფიკურ იმუნიტეტს, მათი მატება დამახასიათებელია ალერგიის დროს, ასევე პრიმიტიული დაავადებების დროსაც.

●

ლიმფოციტი – 19-30%, ეს არის სპეციფიკურ იმუნიტეტზე პასუხისმგებელი უჯრედები. თუ გამოხატული ანთებითი პროცესის დროს მაჩვენებელი ეცემა 15%-ზე ქვემოთ, მნიშვნელოვანია შეფასდეს 1 ლიტრ სისხლზე ლეიკოციტების აბსოლუტური რაოდენობა. ის არ უნდა იყოს

რა უნდა ვიცოდეთ სისხლის შესახებ

1.200-1.500 უჯრედზე ნაკლები.

●

თრომბოციტები – ეს უჯრედები პასუხს აგებენ სისხლის დენის შეჩერებაზე. რომ არ შეგეშინდეთ თითის გაჭრის, მათი რაოდენობა უნდა იყოს 170-დან 450-მდე 1 ლიტრ სისხლში. თრომბოციტების შემცირება შეიძლება მიუთითებდეს იმუნოლოგიურ დაავადებაზე.

COE – ეს სამი დიდი ასო იშიფრება როგორც ერითროციტების დალექვის სიჩქარე.

ნორმა მამაკაცებისათვის – 10 მმ საათში.

ქალებისათვის – 15 მმ/სთ.

●

ზოგიერთი, სისხლის საერთო ანალიზის აღების წინ, თავს იკავებს საკვების მიღებისგან. შეხედულება მცდარია. სისხლის საერთო ანალიზის დროს კვებას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ თუკი ალკოჰოლი მიიღეთ, ან მზის აბაზანები, ფიზიოპროცედურები, აგრეთვე რენტგენოლოგიური გამოკვლევა ჩაიტარეთ, უმჯობესია, რამდენიმე დღე მოიცადოთ, რომ ანალიზის შედეგი მცდარი არ იყოს.

●

სისხლის ბიოქიმიური ანალიზი

სისხლის 90% წყალია. მასში კი გახსნილია ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მარილები და მრავალი სხვა. აი, რატომაა მნიშვნელოვანი სისხლის ბიოქიმიური ანალიზი. მას აკეთებენ მაშინ, როდესაც სურთ დაამტკიცონ ან უარყონ ეჭვი, რომ ადამიანი ავადაა. როგორ გავერკვეთ მასში?

გლუკოზა – იგი უნდა იყოს 3,5-6,5 მმოლ/ლ (მმოლ მილიმოლია). გლუკოზის დაწევა სისხლში ხდება, თუ ადამიანს დიდხანს არ უჭამია, გლუკოზის მომატება ხდება შაქრიანი დიაბეტის დროს.

საერთო ცილა აჩვენებს, რამდენი ცილა აქვს ადამიანს სისხლში. ნორმაა 60-80 გრამი ლიტრში. ცილა ეცემა ღვიძლის, თირკმელების მუშაობის დათრგუნვისას, საჭმლის უკმარისობისას. იგივე ხდება ალბუმინის შემცველობის დაწევისას (ნორმა 40-60%).

საერთო ბილირუბინი – იგი აჩვენებს, როგორ მუშაობს ღვიძლი. მისი მომატება ჰეპატიტის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადების, ერითროციტების დაშლის სიმპტომია. საერთო ბილირიბინი არ უნდა აღემატებოდეს 20,5 მმოლ/ლ-ს.

●

კრეატინი – ნივთიერება, რომელიც არ უნდა იყოს 0,18 მმოლ/ლ-ზე მეტი, პასუხს აგებს თირკმელების მუშაობაზე. თუ მისი შემცველობა მაღალია, ეს თირკმელების უკმარისობის ნიშანია, რომლის დროს ცუდი არ იქნება, თუ ადამიანი მომაგრდება.

ბიოქიმიური ანალიზისთვის სისხლს იღებენ ვენიდან. იგი უნდა ავიღოთ დილით უზმოზე, რადგან ერთი ჭიქა ყავა ან ჩაი აუცილებლად გაზრდიან სისხლში გლუკოზის შემცველობის დონეს.

2023, 20 სექტემბერი, №185

უკრაინული არმია ინიციატივას ინარჩუნებს

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებებია. რუსეთის არმიის შეტევის შეჩერება მოხერხდა ფრონტის ყველაზე რთულ უბანზე, კუპიანსკზე.

დაახლოებით იგივე ვითარებაა სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. აქაც ოკუპანტები წინსვლას ცდილობდნენ, მაგრამ ეს წარუმატებლად დამთავრდა. მტერმა დიდი დანაკარგებით დაიხია უკან.

რაც შეეხება დონეცკის მიმართულებას, აქ სასიამოვნო ცვლილებებია. უკრაინულმა არმიამ ავდეევკის მიმართულებით მორიგი წარმატებული ოპერაციები ჩაატარა. შედეგად ოკუპანტები განდევნეს რიგი მახლობელი ტერიტორიებიდან.

სასიამოვნო ცვლილებებია დონეცკის ფრონტზეც. უკრაინულმა არმიამ წარმატებით მოიგერია რუსების კონტრშეტევა ოპიტნოეს მიმართულებით. შენარჩუნებულ იქნა პოზიციები დონეცკის აეროპორტთანაც. პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები უშუალოდ დონეცკზე. საარტილერიო ცეცხლქვეშ მოექცა ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის მეთაურის“ პუშილინის ადმინისტრაცია. უშუალოდ დონეცკში ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. დონეცკის მახლობლად კი ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულ იქნა რიგი დასახლებული პუნქტები.

ბახმუტის მახლობლად დასრულდა გაწმენდითი სამუშაოები. კლესჩივკასა და ანდრეევკაზე უკრაინელმა ჯარისკაცებმა საზეიმოდ აღმართეს ეროვნული დროშა. თუ აქამდე რუსული პროპაგანდა ანდრეევკის და კლესჩივკის დაკარგვას არ აღიარებდა, ახლა უცილობელი ფაქტების წინაშე იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ.

უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას ზაპოროჟიეს ფრონტზეც. უკრაინელები წინ მიიწევენ მელიტოპოლისა და ბერდიანსკის მიმართულებით. უკრაინულმა არტილერიამ განახორციელა დარტყმები დროებით ოკუპირებულ მელიტოპოლსა და ტოკმაკზე. პარალელურად უკრაინული არმია მომაგრდა ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზეც. აქ იქმნება პლაცდარმი შეტევისათვის ოლეშკიზე. მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში მთელი ხერსონის ოლქი ოკუპანტებისაგან გაიწმინდება.

არ წყდება დარტყმები დროებით ოკუპირებულ ყირიმზეც. უკრაინელმა მეომრებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმები სევასტოპოლზე, სიმფეროპოლსა და კიდევ რამდენიმე ქალაქზე. რუსი ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი, გენერალი ბუდანოვი მიმოიხილავს რა შექმნილ ვითარებას, აკეთებს დასკვნას, რომ უკრაინელთა კონტრშეტევა ნელა, მაგრამ წარმატებით გრძელდება. უკრაინელები ფრონტის რიგ უბნებზე ინარჩუნებენ ინიციატივას. ეს კი შემდგომი წინსვლისათვის კარგ წინაპირობას ქმნის.

ასეთია უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფის პროგნოზი. ადრე ბუდანოვის ყველა პროგნოზი გამართლდა. იმედია, ესეც გამართლდება. ჯერჯერობით კი შეგვიძლია ვთქვათ ერთი: უკრაინელები ფრონტზე ინიციატივას ინარჩუნებენ.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

როგორც ცნობილია, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) განაცხადა, რომ ქვეყანაში თურმე გადატრიალება მზადდება და ეს პროცესი უკრაინიდან იმართება. ამ ცილისმწამებლურმა განცხადებამ უკრაინელთა პროტესტი გამოიწვია.

უკრაინელი დიპლომატები მოუწოდებენ საქართველოს დე-ფაქტო ხელისუფლებას, რომ უკრაინის დემონიზაციას შეეშვას და ამის ხარჯზე ნუ ცდილობს საკუთარი შიდა პრობლემების გადაჭრას.

ირანმა და აშშ-მ პატიმრები გაცვალეს

როგორც იტყობინება „რადიო თავისუფლება“, ირანმა და აშშ-მ პატიმრები გაცვალეს. ამას წინ უძღოდა ირან-აშშ-ს შორის შეთანხმება ირანული აქტივების გაყინვის თაობაზე. პატიმრების გაცვლის შედეგად გათავისუფლდა აშშ-ის ხუთი და ირანის ოთხი მოქალაქე. ეს უკანასკნელნი სასჯელს იხდიდნენ ამერიკულ საპატიმროებში.

უკრაინულმა არმიამ ბახმუტთან რუსების თავდაცვის ხაზი გაარღვია

ბახმუტთან უკრაინულმა არმიამ რუსების თავდაცვის ხაზი გაარღვია. შედეგად გათავისუფლებულა 15 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია. ამის შესახებ განაცხადა უკრაინის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალმა სირსკიმ.

ბახმუტი პატარა ქალაქია, რომელიც დონბასში მდებარეობს. ამა წლის მაისში იქ გასამხედროებული ფირმა ვაგნერის ბანდები შეიჭრნენ. ცხარე ბრძოლების მიუხედავად, მათ ბახმუტის აღება ვერ შეძლეს. დღეისათვის ქალაქი მთლიანად დანგრეულია. მის ერთ ბოლოში უკრაინელი მეომრები დგანან, მეორეში – რუსები. ქალაქის ცენტრი კი ნანგრევებადაა ქცეული.

რუსეთი უკრაინას კვლავ ბომბავს

ფრონტებზე წარუმატებლობის პასუხად რუსეთმა უკრაინის დაბომბვები გააძლიერა. ოკუპანტებმა დაბომბეს ქალაქები ოდესა, ხერსონი, კრივოი-როგი, კიევი, ლვოვი, ივანო ფრანკოვსკი.

შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ხერსონში ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა მოქალაქე, რომელიც ავტობუსს უცდიდა. დაიჭრა ავტობუსში მსხდომი რამდენიმე მგზავრიც. ლვოვში, სახლის ნანგრევებში ერთი მოქალაქე მოჰყვა და დაიღუპა.

ჰააგაში რუსეთს ასამართლებენ

ჰაადაში დაიწყო სასამართლო პროცესი უკრაინის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის გამო. უკრაინელები რუსებს უკრაინელი ხალხის გენოციდში ადანაშაულებენ.

რუსები ბრალდებას უარყოფენ.

პროცესი ჰაადაში უკვე დაიწყო.

რუსეთ-უკრაინის ფრონტი: უკრაინული არმია წინ მიიწევს!

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე სიახლეებია. დავიწყოთ იქიდან, რომ ოკუპანტებმა შეაჩერეს შეტევა კუპიანსკის მიმართულებით.

რუსების შეტევის შეჩერების მიზეზი მარტივია: ოკუპანტებს არ ჰყოფნით იარაღი. რუსული არმია, რომელიც კუპიანსკის მახლობლად გადმოსხეს, იარაღის მხოლოდ 50%-ითაა უზრუნველყოფილი. მსგავსი სიტუაციაა სვატოვო-კრემენოეს მიმართულებითაც. ამიტომ გასულ დღეს ფრონტის ამ უბანზე შედარებითი სიმშვიდე იყო.

უკრაინული არმია წარმატებებს აღწევს დონეცკის ოლქში, ბახმუტთან და ავდეევკის მიმართულებით. აქ უკრაინელებმა არ დაუშვეს მტრის მორიგი მცდელობა, შეჭრილიყვნენ ავდეევკაში. ამის შემდეგ ოკუპანტები შეეცადნენ ავდეევკა ისევ ალყაში მოექციათ. მათ კვლავ მარცხი განიცადეს და უკან დაიხიეს დიდი ზარალით.

რაც შეეხება მარინკას, აქ ვითარება უცვლელია. უკრაინელები დაკავებულ პოზიციებს მტკიცედ ინარჩუნებენ. უკრაინული არმია კვლავ აკონტროლებს ოპიტნოეს (დონეცკის მახლობლად) ნაწილს. რუსების მცდელობას, დაებრუნებინათ ოპიტნოესთან დაკარგული პოზიციები, წარმატება არ მოჰყოლია.

გრძელდება უკრაინული არმიის წინსვლა დონეცკის ოლქშიც. ოკუპანტები კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს.

გრძელდება უკრაინელთა წინსვლა ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქშიც.

უკრაინელებმა წინ წაიწიეს ვერბოვოესთან. ისინი განაგრძობენ წინსვლას ბერდიანსკისა და მელიტოპოლისაკენ. ტოკმაკში გუშინ დილით დაფიქსირდა რამდენიმე აფეთქება. ოკუპანტებმა პასუხად ქალაქიდან მოსახლეობის მასობრივი განდევნა დაიწყეს. ტოკმაკთან, მელიტოპოლსა და ბერდიანსკთან ოკუპანტებმა სადესანტო ჯარები გადაისროლეს. რუსი სალდათები უკრაინელების მიტოვებულ ბინებს იკავებენ. ტოკმაკი პატარა ციხე-სიმაგრედ გადაიქცა. ასე ცდილობენ რუსები უკრაინელთა შეტევის შეჩერებას. რაც შეეხება ხერსონის მიმართულებას, აქ ვითარება უცვლელია. უკრაინელები ნელა, მაგრამ მაინც წინსვლას განაგრძობენ.

დაძაბული ვითარებაა ყირიმშიც. უკრაინული არმია ნახევარკუნძულს სისტემატიურად ბომბავს. ქართულმა საგამოძიებო ჯგუფმა გაავრცელა სევასტოპოლის დაბომბვის კადრები. უკრაინელებმა გაანადგურეს რუსული გემი და წყალქვეშა ნავი. დანგრეულია სახლები. ოკუპანტებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. კვლავ დაიბომბა ქალაქები სიმფეროპოლი და ყირიმი. ფაქტობრივად ჩაიშალა ტურისტული სეზონი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დიდი 10 ოთხი წაუგებელი გუნდით დაიწყო

გაიმართა დიდი 10-ის მეორე ტურის მატჩები და ცხრილში ოთხი წაუგებელი გუნდია. თუმცა, ბონუს-ქულები სხვადასხვაგვარად აკრიფეს და ერთნაირი ქულები არ აქვთ.

ხარები-აკადემია 80:3

საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის ხარებმა თბილისის აკადემიას 12 უპასუხო ლელო გაუტანა და 80:3 დაამარცხა.

„მხატვრები“ ერთი კვირის წინაც დიდი სხვაობით დამარცხდნენ (ბათუმთან 3:73), რუსთავში კი, ერთით მეტი ლელო გაუშვეს. თავად ხარებმა მეორე მატჩშიც შეძლო ბონუსის აღება და 10 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა.

მასპინძელთა მხრიდან ორ-ორი ლელო სანდრო სვანიძემ, თამაზ ჭამიაშვილმა და გურამ ქანდაურიშვილმა მიითვალეს, დიმა ბერიძის, ლევან ჯებირაშვილის, გიორგი კერვალიშვილის, გიორგი გოგუაძის და ხვიჩა ბუჯიაშვილის ანგარიშზე კი თითო ლელოა. რუსთავმა ერთი საჯარიმო ლელოც გამოიმუშავა, გიორგი ელოშვილმა 8, ხოლო იაგო მარსაგიშვილმა ერთი ზუსტი გარდასახვა შეასრულეს.

აკადემიამ 3 ქულა ერეკლე თათარაშვილის ჯარიმით მე-11 წუთზე აიღო და ანგარიში 3:5 გახადა, თუმცა მას მერე უპირატესობა მუდმივად იზრდებოდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ხარების კვაჭი თამაზ ჭამიაშვილი გახდა.

ბათუმი-ხვამლი 27:23

მეორე გამარჯვება იზეიმა ბათუმმაც, მაგრამ მძიმე ბრძოლაში. ზღვისპირელებმა თბილისის ხვამლთან უპირატესობა დასკვნით 20 წუთში მოიპოვეს და სამი ლელო გაიტანეს.

„ბათუმი არენაზე“ გამართული შეხვედრა დაძაბული გამოდგა. სტუმრები პირველ ტაიმში დომინირებდნენ, მაგრამ მასპინძელთა შემცვლელებმა უკეთ ითამაშეს და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუპოვეს.

ხვამლს მოლის შემდეგ პირველი ლელოს გატანა დებიუტშივე შეეძლო, თუმცა ბათუმელებმა თავი დაიცვეს. მერე მასპინძლებს ჯარიმა გაუცუდდათ, მე-13 წუთზე კი ბესიკ თაყნიაშვილმა 40 მეტრიდან გატანილი ჯარიმით სტუმრები დააწინაურა. 30-ე წუთზე მამუკა ნინიძემ ჯარიმითვე წონასწორობა აღადგინა, მაგრამ თაყნიაშვილმა მალევე მეორე ზუსტი დარტყმა შეასრულა – 3:6.

მეორე ტაიმის დებიუტში მარცხენა ფრთაზე საბა არაგველი ორ მცველს გაექცა და შეხვედრის პირველი ლელო გაიტანა, თაყნიაშვილმა გარდასახა. ტაიმის შუაში დურმიშხან ჯაბნიძემ და თაყნიაშვილმა თითო ზუსტი დარტყმა გაცვალეს და გუნდები დასკვნით მეოთხედში შევიდნენ.

ბათუმის მარქაფამ შერკინებაში იმძლავრა, რასაც 64-ე წუთზე გიორგი კაკაურიძის სინბინი, ერთ წუთში კი, საჯარიმო ლელო მოყვა. 70-ე წუთზე მასპინძლებმა უკვე მოლით დაფარეს 5 მეტრი და ვაჟა თაგაურმა საკუთარი გუნდი პირველად დააწინაურა, ხოლო ჯაბნიძემ რთული პოზიციიდან შესრულებული გარდასახვით უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა.

77-ე წუთზე ხვამლს ლელოს გატანის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ შეტევის სწორი გაგრძელება ვერ იპოვა, ჯარიმის გათამაშების შემდეგ ბურთი დაკარგა, რასაც 95-მეტრიანი კონტრშეტევა და გიორგი წიკლაურის ლელო მოყვა. ჯაბნიძემ გარდასახა. თბილისელებმა ბოლომდე იბრძოლეს, გაწითლებულ დროზე უკვე თავად გამოიმუშავეს საჯარიმო ლელო და ნუგეშის ქულას გამორჩნენ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ზღვისპირელთა ლეგიონერი მეტეუ სეკელე გახდა.

ყაზბეგი-ღელო 3:16

თბილისის ლელომ სტეფანწმინდის ყაზბეგი „ავჭალაზე“ გამართულ დაძაბულ ბრძოლაში 16:3 დაამარცხა და დიდი 10-ის ახალ სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა

ჩემპიონატი ორივე გუნდმა გამარჯვებით გახსნა და წარმატებული სერიის გაგრძელება ორივეს სურდა. გუნდები მაღალ ტემპში, ხელდახელ თამაშით ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ დაცვა შეტევაზე უკეთ გამოიყურებოდა.

ანგარიშის გახსნა სტეფანწმინდელებს ჯარიმით შეეძლოთ, მაგრამ ოთარ ტალახაძის დარტყმული არაზუსტი იყო. ჯარიმა ლელოს ფულბეკ ვაჟა მიქაძესაც გაუცუდდა, თუმცა მე-16 და 41-ე წუთებზე მოახერხა ზუსტი დარტყმების შესრულება და სტუმრები 6:0 დააწინაურა.

დავით მოძღვრიშვილმა ერთი ჯარიმა 56-ე წუთზე გაქვითა, მაგრამ ლელო ინიციატივას ფლობდა და 63-ე წუთზე ლუკა ცირეკიძემ ჯარიმით 6-ქულიანი უპირატესობა აღადგინა. ორიოდე წუთში ყაზბეგმა ბურთი რაქში დაკარგა, ოვალი სწრაფად გავიდა ფრთაზე და შალვა აფციაურმა შეხვედრის ერთადერთი ლელო გაიტანა, ლუკა ცირეკიძემ კი, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, რთული პოზიციიდან გარდასახვით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 16:3.

აია-ახესი 33:21

ქუთაისურ დერბიში აიამ არესს 33:21 მოუგო და დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება ჩაიწერა. არესი კი, ისევ მოუგებელია.

„აია არენაზე“ ნომინალურმა მასპინძლებმა 5 უპასუხო ლელო გაიტანეს, თავად ქულები მხოლოდ ჯარიმებით მიიღეს და ბონუს-ქულაც ჩაიწერეს.

თამაში ქარისა და წვიმის ფონზე წარიმართა. არესი უპირატესობას შერკინებაში ფლობდა, მაგრამ დერეფანში თამაში ვერაფრით დააწყო. აია

გაგრძელება მე-6 გვერდზე

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

დიდი 10 ოთხი წაუგებელი გუნდით დაიწყო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

კი მეტოქეს ხელდახელ შეტევებით უქმნიდა საფრთხეს, თუმცა დისციპლინაში მოიკოჭლებდა და არესი გამარჯვების იმედს ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა.

შეხვედრა აიას შეტევებით დაიწყო და ორი ლამაზი ლელოც გაიტანა: მე-6 წუთზე კონტრშეტევისას ბურთი ფრთაზე კარგად გაიშალა და ოთარ მეტრეველმა ანგარიში გახსნა, ხოლო ლელო ნიკა ღლონტმა გარდასახა; ტაიმის შუაში შერკინების შემდეგ გუჯა მახარეიშვილმა გაჭრა ხაზი და ლელოში ბურთი ნოდარ დოლიძეს შეაყოლა. თავად მახარეიშვილმა გარდასახვა გამოიყენა; ამ ყველაფერს ბონდო აბაშიძემ 5 ჯარიმით უპასუხა, კიდევ ორი დარტყმა გაუცუდდა და ტაიმი 14:15 დასრულდა.

აბაშიძემ 48-ე წუთზე ჯარიმით უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა, მაგრამ აიამ ლიდერობა ორ წუთში დაიბრუნა. არესმა ბურთი დაკარგა, მერე დაჯარიმდა, რასაც დერეფნიდან გათამაშებული კომბინაცია და შოთა არეშიძის ლელო მოყვა. მახარეიშვილს გარდასახვის გარდა, გასატანი ჯარიმაც გაუცუდდა, რამაც აბაშიძეს 68-ე წუთზე არესის კიდევ ერთხელ დაწინაურების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ მისი დარტყმულიც არაზუსტი იყო.

მატჩის მიწურულს წამოსული ძლიერი წვიმის ფონზე აიამ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა: 76-ე წუთზე აგორებული მოლი დავით ვარდანიძის ლელოთი დასრულდა და მახარეიშვილმა გარდასახვით საკუთარ გუნდს გამარჯვება დაუბევა. არესმა ჯარიმით ჩამორჩენა 5 ქულამდე დაიყვანა და პირველი ქულის აღების შანსი გაუჩნდა, მაგრამ გაწითლებულ დროზე მახარეიშვილმა შერკინების შემდეგ გაჭრა ხაზი და ლელო ამირან შვანგირაძეს გაატანინა, თავად კი, გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 33:21.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე აიას 9 ნომერი ნოდარ დოლიძე გახდა.

ახნივები-ყოჩები 21:46

ახალი სეზონის სტარტზე ზედიზედ მეორე თამაში მოიგო ბოლნისის ყოჩებმაც და 9 ქულით ბათუმს გაუტოლდა.

დიდი 10-ის დებიუტანტმა ოზურგეთის არწივებმა მეტოქეს ფოთში, „პარკი არენაზე“ უმასპინძლა და სამი ლელო გაუტანა, მაგრამ თავად 7 გაუშვა და ყოჩებს ბონუსიც გაატანა.

სტუმრები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, თუმცა ანგარიში მე-17 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. არწივებმა პირველივე შეტევისას ორჯერ გაჭრა ხაზი და მართალია პასები არაზუსტი იყო, მაგრამ ის კოტე გაზაშვილის ლელოთი მაინც დასრულდა და მარვინ ფრედერიქსმა გარდასახა.

ყოჩებმა 5 წუთში უპასუხა, სოსო მათიაშვილი ლელოში შეცურებულ ბურთს შეყვა და დაამიწა. ამის შემდეგ ბოლნისელების უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და შესვენებამდე სამი ლელო გავიდა: სერგი ჩხაიძის გარღვევის შემდეგ გიორგი მელაძე ფრთაზე უყურადღებოდ დარჩა და გრძელი პასი შეირგო; მერე ომარ ბალიაშვილი არშემდგარ მოლს დროულად მოწყდა, ბოლოს კი, ხელდახელ შეტევა ნიკოლოზ რეხვიაშვილმა დაასრულა. ლაშა მალაღურაძემ ყველა გარდასახვა ზუსტად შეასრულა – 7:28.

ასეთი უპირატესობის მიუხედავად, მეორე ტაიმის დასაწყისში მათიაშვილმა კარის წინიდან ჯარიმით 3 ქულა მიითვალა. საათის თავზე არწივების ლეგიონერებმა თავისი 22-იდან ხელდახელ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და აიდან ჯოსეფას ლელოთი დასრულდა, ბახვა კობახიძემ კი გარდასახა.

პირველი ტაიმის მსგავსად, გაშვებულმა ლელომ ყოჩები გამოაცოცხლა და მათი მოლი ბექა გვარამიას ლელოთი დასრულდა, რასაც ალექსანდრე ტატიშვილის დუბლი მოყვა. შეხვედრის მიწურულს ჯამბა ულენგომ თავისი წილი ლელო გაიტანა, კობახიძემ კი გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა, თუმცა სტუმრებს ამ მომენტისთვის ბონუს-ქულა უკვე დაბეებული ჰქონდათ – 21:46.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სოსო მათიაშვილი დასახელდა.

ოლიმპიადა და შანსები

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები უმწვრთნელოდ არის. არადა, წინ ერთი დიდი ტურნირია – ოლიმპიადა.

აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის, ილიას ზუროსის ხელში ჩვენმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპის დაძლევითა და პლანეტის 16 საუკეთესო გუნდში ადგილის მოპოვებასთან ერთად მომავალი ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობის უფლებაც მიიღო. აქამდე საქართველოს ნაკრებს ისეთ ტურნირში მონაწილეობა არასდროს მიუღია, რომელში წარმატების შემთხვევაშიც ოლიმპიადაზე გავიდოდა. ახლა ამის შანსი არსებობს.

ამ ეტაპზე ის ვიცით, რომ ჩვენი ნაკრები იქნება ერთ-ერთ ჯგუფში კიდევ 5 ქვეყნის ნაკრებთან ერთად, რომელთაგან საუკეთესო ოლიმპიადის საგზურს მიიღებს.

უფრო დეტალურად:

ოლიმპიადაზე 12 ნაკრები მონაწილეობს, რომელთაგან მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ ერთი ადგილი იყო დაბეებული და მისი მფლობელი თამაშების მასპინძელი საფრანგეთი გახლდათ. მსოფლიოს ჩემპიონატმა კიდევ რამდენიმე საგზურის მფლობელი გამოავლინა: ევროპის ორი ყველაზე შორს წასული გუნდი – გერმანია და სერბეთი; ამერიკის ორი საუკეთესო – კანადა და აშშ; საგზურები მიიღეს ოკეანეთის, აფრიკისა და აზიის საუკეთესო მაჩვენებლის გუნდებმაც – ავსტრალია, სამხრეთ სუდანი და იაპონია.

შედეგად, პარიზის ოლიმპიადის 12 მონაწილედან 8 ნაკრები ცნობილია. საქართველოს და კიდევ 23 ქვეყნის ნაკრებს ბრძოლა დარჩენილი 4 საგზურისთვის მოუწევთ.

ეს 24 ნაკრები არიან: ეგვიპტე, პუერტო რიკო, ახალი ზელანდია, სლოვენია, ლატვია, იტალია, ლიეტუვა, ესპანეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, დომინიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, საქართველო, ფინეთი, ლიბანი, ფილიპინები, მექსიკა, ანგოლა, კოტ დივუარი, კამერუნი, ბაჰამის კუნძულები, ბაჰრეინი, პოლონეთი, ხორვატია.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი 2-დან 7 ივლისის ჩათვლით გაიმართება და 24 ნაკრები 4 ჯგუფში გადანაწილდება. ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე გაიმართება. თითოეულ ქალაქში მოხვედრილი 6 გუნდი 2 ჯგუფში გადანაწილდება და თითოეულის 2-2 საუკეთესო ნახევარფინალში ჯვარედინი პრინციპით დაუპირისპირდება. თითოეული ქალაქის ფინალის მომგები 4 გუნდი ოლიმპიადის საგზურს მიიღებს.

თუ რამე არ შეიცვალა, ქალაქები, რომლებიც საკვალიფიკაციო ტურნირებს უმასპინძლებენ, ნოემბრის თვეში გაირკვევა.

ფიჯის სენსაცია და დაძაბულობა საქართველოს ჯგუფში

საფრანგეთში რაგბის მსოფლიო თასი მიმდინარეობს, სადაც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს. ილია მაისაშვილის გაწვრთნილი გუნდი, რომელმაც პირველ ტურში ავსტრალიასთან (15:35) წააგო, მეორე ტურში ისვენებდა.

სანამ ჩვენები უქმობდნენ, ჯგუფში მაგარი ამბები დატრიალდა: ავსტრალიამ 15:22 წააგო ფიჯისთან, რომელმაც, თავის მხრივ, პირველ წრეში უელსთან (26:32) წააგო.

ახლა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: 10 ქულით უელსი ლიდერობს და შემდეგ მატჩში 6-ქულიან ავსტრალიას ეთამაშება. თავის მხრივ, კუნძულელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, რადგან ფიჯისთან მარცხის შემდეგ, კიდევ ერთი წაგების უფლება არ აქვთ. ფიჯისაც 6 ქულა აქვს და მესამე ტურში დაისვენებს, შემდეგ კი, ჯერ კიდევ უქულოდ მყოფ საქართველოსა და პორტუგალიას ეთამაშება, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთობას 23 სექტემბერს გაარკვევენ.

მსოფლიო რაგბის რეიტინგში ცვლილებები მხოლოდ ავსტრალიელთა წაგებამ გამოიწვია. „ვოლაბებმა“

2.78 ქულა დაკარგეს და მეცხრე ადგილამდე დაქვეითდნენ. მათ წინ კი უელსი (7) და ფიჯი (8). სწორედ რომ ჩვენი ჯგუფის სამეულია და ერთმანეთში მოუწევთ იმის გარკვევა, თუ ვინ გავა ფლეი ოფში.

საქართველოს ნაკრები კვლავ მე-13 ადგილზეა და პორტუგალიასთან თამაში ბევრს არაფერს მოგვცემს. თუ მეტოქეს 15 ან ნაკლები ქულით ვაჯობეთ, 0.86 ქულა დაგვემატება, 15 ქულაზე მეტით გამარჯვებაზე კი – 1.29. ეს წინსვლას ვერ მოგვცემს, თუ რაღაც დიდი სენსაცია არ მოხდა.

წაგება არანაირად არ გვაწყობს. ამ შემთხვევაში, მინიმუმ, ორ პოზიციას დავკარგავთ. ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად აქვს გააზრებული ბორჯღალოსნების კაპიტან მერაბ შარიქაძეს:

– რაღაც პერიოდი დავისვენეთ, ორი დღე პროდუქტიული ვარჯიშები გვქონდა. დღეიდან კი პორტუგალიასთან მატჩისთვის მზადებას დავიწყეთ. პორტუგალია ძალიან დიდი ენთუზიაზმითაა, ფიზიკურად საკმაოდ კარგად არიან მომზადებული. თუმცა უელსმა, გადახალისებული შემადგენლობის მიუხედავად, უპირატესობა მაინც მოიპოვა. იყო რაღაც მომენტები, რაც პორტუგალიას, წესით, უნდა გამოეყენებინა. მაგალითად, კარში დარტყმული ჯარიმები. როგორც წესი, მათ დამრტყმელს ასეთი აცილებები არ ახასიათებს. თუ არ ვცდები, 9 ქულა ჯარიმის სახით გააცუდა და გარდასახვაც ვერ გაიტანა. ამის მიუხედავად, პორტუგალია ძალიან კარგად გამოიყურება, ამიტომ ყურადღება და მობილიზება გვმართებს.

ირის ანტმანმა გუნდი შეკრიბა

საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის პირველი გათამაშებისთვის ემზადება.

ახალი ტურნირის პირველ მატჩს ჩვენი გუნდი 22 სექტემბერს, საკუთარ მოედანზე თურქეთის წინააღმდეგ გამართავს. მატჩის ჩატარების ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი. 26 სექტემბერს, საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგს სტუმრად დაუპირისპირდება.

ირის ანტმანმა გუნდი თბილისში შეკრიბა. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მოახლოებული თამაშებისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

საქართველოს ქალთა ნაკრების შემადგენლობა:

მეკარე: თეონა სუხაშვილი, ეკა თაბაგარი (ორივე ლანჩხუთი), სვეტალნა გაბელაია (ხობი);

დაცვა: გვანცა ქადაგიშვილი, მარიამ კალანდაძე, სოფიკო ნარსია, ნინო ჩხარტიშვილი, ნინო გუჯაბიძე (ყველა ლანჩხუთი), თამარ ქველიძე (ეტლინგენი, გერმანია), თამარ ტატუაშვილი (ტრაბზონი, თურქეთი), სალომე გასვიანი (კვარტალი);

ნახევარდაცვა/თავდასხმა: მარიამ ჯანიკაშვილი, ლიზი მწყერაშვილი, ნინო ბუხრიკიძე, მაიკო ბებია (ყველა სამეგრელო), ნინო პასიკაშვილი, ნათია დანელია (ორივე კვარტალი), თინათინ ამბალია, ანა წულაია (ორივე ლანჩხუთი), თეონა თოდაძე (ხობი), ანა ჩემინავა, თეონა ბაქრაძე (ორივე ტრაბზონი, თურქეთი), ხატია ჭყონია (ბათუმი).

18 სექტემბერი ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ნოტინგემი-ბარნლი 1:1

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	5	5	0	0	14-3	15
2.ტოტენჰემი	5	4	1	0	13-5	13
3.ლივერპული	5	4	1	0	12-4	13
4.არსენალი	5	4	1	0	9-4	13
5.ბრაიტონი	5	4	0	1	15-7	12
6.ვესტ ჰემი	5	3	1	1	10-7	10
7.ასტონ ვილა	5	3	0	2	11-10	9
8.ნოტინგემი	5	2	2	2	7-7	7
9.კრ.პალასი	5	2	1	2	6-7	7
10.ფულემი	5	2	1	2	5-10	7
11.ბრენტფორდი	5	1	3	1	8-6	6
12.ნიუკასლი	5	2	0	3	8-7	6
13.მანჩესტერი	5	2	0	3	6-10	6
14.ჩელსი	5	1	2	2	5-5	5
15.ბორნმუთი	5	0	3	2	4-8	3
16.ვულვზი	5	1	0	4	5-11	3
17.შეფილდი	5	0	1	4	5-9	1
18.ევერტონი	5	0	1	4	2-9	1
19.ბარნლი	4	0	1	3	4-12	1
20.ლუთონი	4	0	0	4	2-10	0

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

გრანადა-ხირონა 2:4

სატუნინიო ცხრილი:

1.რეალი	5	5	0	0	10-3	15
2.ბარსელონა	5	4	1	0	13-4	13
3.ხირონა	5	4	1	0	11-4	13
4.ბილბაო	5	3	1	1	9-4	10
5.ვალენსია	5	3	0	2	7-4	9
6.რაიო	5	3	0	2	6-8	9
7.ატლეტიკო	4	2	1	1	10-4	7
8.ბეტისი	5	2	1	2	5-10	7
9.ხეტაფე	5	2	1	2	5-7	7
10.კადისი	5	2	1	2	5-7	7
11.სოსიედადი	5	1	3	1	8-7	6
12.ოსასუნა	5	2	0	3	7-8	6
13.ვილიარეალი	5	2	0	3	8-10	6
14.ალავესი	5	2	0	3	5-7	6
15.მალიორკა	5	1	2	2	4-5	5
16.სელტა	5	1	1	3	4-7	4
17.სევილია	4	1	0	3	6-8	3
18.გრანადა	5	1	0	4	9-16	3
19.ლას პალმასი	5	0	2	3	1-4	2
20.ალმერია	5	0	1	4	5-11	1

შედეგები

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ანდორა-ოვიედო 1:0

იტალია. სერია ა

სალერნიტანა-ტორინო 0:3

ვერონა-ბოლონია 0:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ინტერი	4	4	0	0	13-1	12
2.იუვენტუსი	4	3	1	0	9-2	10
3.მილანი	4	3	0	1	9-7	9
4.ლეჩე	4	2	2	0	7-4	8
5.ნაპოლი	4	2	1	1	8-5	7
6.ფიორენტინა	4	2	1	1	9-9	7
7.ფროზინონე	4	2	1	1	7-6	7
8.ტორინო	4	2	1	1	5-4	7
9.ვერონა	4	2	1	1	4-4	7
10.ატალანტა	4	2	0	2	8-5	6
11.ბოლონია	4	1	2	1	3-4	5
12.რომა	4	1	1	2	11-6	4
13.მონცა	4	1	1	2	3-6	4
14.ჯენოა	4	1	1	2	4-7	4
15.ლაციო	4	1	0	3	4-7	3
16.უდინეზე	4	0	3	1	1-4	3
17.სასუოლო	4	1	0	3	5-9	3
18.კალიარი	4	0	2	2	1-4	2
19.სალერნიტანა	4	0	2	2	3-8	2
20.ემპოლი	4	0	0	4	0-12	0

იტალია. სერია ბ

სამპდორია-ჩიტადელა 1:2

საფრანგეთი. ლიგა 2

გენგამი-აიაჩო 3:0

ჰოლანდია. ჩემპიონატი ლიგა

ბოავიშტა-შავიში 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ანკარაგიუჯიუ 1:3

ქარაგუმრუქი-ჰატაი 0:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-სილკებორგი 0:3

შვედეთი. ალსვენსკა

ნორჩიოპინგი-მიალბი 0:2

აიკი-დეგერფორსი 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. არგენტინის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 7. რძის შაქარი; 10. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 13. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 16. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 21. ბაღჩეული ხილი; 24. მდინარე ლონდონში.

თარაზულად: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. პუჩინის ოპერა; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 15. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 22. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არკადია; 2. მაჯამა; 3. ტერარიუმი; 4. მელასა; 5. საქსონია; 7. მახა; 11. დუბლეტი; 13. პაროდია; 15. მარკა; 16. ბზიფი; 18. ნორმა; 19. ლისტი.

თარაზულად: 6. რეიმსი; 8. მავრები; 9. ქულბაქი; 10. დუქარდი; 12. ზაქსი; 14. კავანი; 17. მირანგულა; 20. აგევზია; 21. სკეტჩი; 22. მოსტრა; 23. რიტორიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფოკა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. ვატერლოო; 6. ყუმი; 7. ცანგალა; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. კები; 16. ატელიე; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

თარაზულად: 1. ფიდელიო; 3. ქაბაბი; 8. ჩაქურა; 9. კოლო; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდესა; 25. უთო; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

20 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6412	ევრო — 2.8271
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2740	100 რუსული რუბლი — 2.7467

ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო სიმეონე ატლეტიკოსთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე, დიდი ალბათობით, კიდევ რამდენიმე სეზონის მანძილზე გუნდში დარჩება და მალე გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. სიმეონემ განაცხადა, რომ მას დიდი სურვილი აქვს, რომ ატლეტიკოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგოს და ეს მისი ოცნებაა.

სიმეონემ ასევე აღიარა, რომ ატლეტიკო მისთვის მეორე სახლია და ამ გუნდში ის თავს ბედნიერად გრძნობს.

კარლო ანჩელოტი: „რეალი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ რეალი ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტია და წელს მისი გუნდი უფრო ძლიერია, ვიდრე შარშან. ანჩელოტის აზრით, რეალი ჯგუფურ ეტაპს ადვილად გადალახავს:

– დარწმუნებული ვარ, ჯგუფურ ეტაპს ადვილად გადავლახავთ, თუმცა ჩვენ გაცილებით შორს ვიყურებით და გვინდა, რომ წელს ტიტული მადრიდში დაბრუნდეს. რეალს დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენ ამას დავამტკიცებთ.

მიკელ არტეტა: „მიხარია, რომ არსენალი ჩემპიონთა ლიგაზე დაბრუნდა“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ უხარია არსენალის ამ ტურნირზე დაბრუნება, რადგან მისი გუნდი ამას იმსახურებს. არტეტას თქმით, არსენალს იოლად ვერავინ დაამარცხებს:

– არსენალი ჩემპიონთა ლიგაზე უნდა ასპარეზობდეს და წლების მანძილზე ჩვენთვის ეს მიუღწეველი იყო, ამიტომ მიხარია, რომ დავბრუნდით. ყველა შეხვედრაში მოსაგებად გამოვალთ და იოლად ვერავინ დაგვამარცხებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სერიალის „შუა ქალაქში“ მსახიობები ეკრანს უბრუნდებიან

ტელეკომპანია „იმედზე“ ცნობილი ქართული სერიალის „შუა ქალაქში“ მსახიობები ბრუნდებიან.

25 სექტემბრიდან ორშაბათობით მაყურებელი ახალ გასართობ გადაცემას „სტუმრად შუა ქალაქში“ იხილავს. მასში მონაწილეობას მიიღებენ სერიალის მსახიობები თამუნა ნიკოლაძე, თათული ედიშერაშვილი, ოთარ ტატიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, მარიამ ჯოლოგუა... ისინი სერიალის გმირებს ქეთევანს, თამარს, სანდროს, ანანოს, დათოს, ირაკლის გააცოცხლებენ და მაყურებელს სახალისო ისტორიებს საინტერესო სტუმრებთან ერთად მოუყვებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ხატია ბუნიათიშვილი ჟურნალ „ლაგენდას“ ყდაზე დაბეჭდეს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი კვლავ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია. მუსიკოსი პოპულარული ჟურნალის „ლ'აგენდას“ უახლესი ნომრის ყდაზე დაბეჭდეს.

ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ხატიამ სამომავლო გეგმებსა და საინტერესო სიახლეებზე ისაუბრა.

თბილისის ლიტერატურული ფესტივალი: „ჩვენს ფესტივალს დროებით აღარ აქვს სახლი“

თბილისის ლიტერატურული საერთაშორისო ფესტივალი დროებით სახლის გარეშეა დარჩენილი. ამის მიზეზი მწერალთა სახლში განხორციელებული ცვლილებები გახდა:

– ჩვენს ფესტივალს დროებით აღარ აქვს სახლი. მხარდაჭერას ვუცხადებთ მწერალთა სახლის შემოქმედებით ჯგუფს, – ნათქვამია თბილისის ლიტერატურული ფესტივალის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

თბილისის ლიტერატურის ფესტივალი მწერალთა სახლს იყო შეფარებული. მწერალთა სახლის დირექტორის თანამდებობიდან კულტურის მინისტრმა ნატაშა ლომოური გაათავისუფლა და მის ადგილას ქეთევან დუმბაძე დანიშნა. ამ გადაწყვეტილებას ხელოვანთა ნაწილის მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

მწერალთა სახლის ოფიციალურ გვერდზე კულტურის სამინისტრომ ნატაშა ლომოურის მისამართით შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სტატუსი განათავსა, რასაც მწერალთა სახლის შემოქმედებითი ჯგუფი გაემიჯნა:

– აქ იდო კულტურის სამინისტროს შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სტატუსი ნატალია ლომოურის შესახებ, რომელსაც ემიჯნება მწერალთა სახლის შემოქმედებითი ჯგუფი, – ნათქვამია მწერალთა სახლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

ვაჟა მანია ჯულიარდის სტუდენტი გახდა

„ჯეოსტარის“ გამარჯვებული მომღერალი ვაჟა მანია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის ჯულიარდის სტუდენტი გახდა.

ჯულიარდის სკოლა 1905 წელს დაარსდა და არაერთი ცნობილი მუსიკოსი აღზარდა. ეს არის საშემსრულებლო ხელოვნების კონსერვატორია ნიუ-იორკში. ამჟამად მდებარეობს ლინკოლნის ცენტრში და მასში 700-მდე საბაკალავრო და მაგისტრანტი სტუდენტი სწავლობს მუსიკას, ცეკვის ხელოვნებასა და დრამას. ჯულიარდი ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი სამუსიკო კონსერვატორია და დრამატული სკოლაა.

ვაჟა მანია საქართველოდან ამერიკაში საცხოვრებლად წლების წინ წავიდა. აფხაზეთიდან დევნილი უნიჭიერესი მომღერალი თავისი შესაძლებლობების უმაღლეს რანგში აყვანას სწორედ ჯულიარდის სკოლაში აპირებს.

ირაკლი მაქაცარია ახალი გადაცემის წამყვანია



„პრაიმ შოუს“ წამყვანი ირაკლი მაქაცარია ახალი გადაცემის წამყვანი გახდა.

„კუნძული“ – ასე ეწოდება რეალურ შოუს, რომელიც კვირაობით გავა „იმედზე“ და მისი მონაწილეები სხვადასხვა სფეროში ცნობილი ადამიანები არიან. რეალურ შოუში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ მოცეკვავე ერეკლე გირგვლიანი, მსახიობი ცუცა კაპანაძე, მომღერალი ნუცა შანშიაშვილი, მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძე, სპორტსმენი ლევან საგინაშვილი, ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე, მსახიობი ნანუკა სტამბოლიშვილი, ინფლუენსერი თათია თექთურმანიძე, ძიუდოისტი გიორგი გველესიანი და მოცეკვავე ნათია ბაკურაძე.

10 ქართველი მონაწილე დომენიკის რესპუბლიკაში, კარიბის ზღვის კუნძულზე მთავარი პრიზის მოსაგებად ჩავიდა. გამარჯვებული მხოლოდ ერთი მონაწილე გახდება და მას 1 მილიონი დომენიკური პიასტრი გადაეცემა.

ირაკლი მაქაცარიამ მონაწილეები სამ გუნდად გადაანაწილა. პირველ გუნდში მოხვდნენ ცუცა კაპანაძე, დათო ლიკლიკაძე, ნათია ბაკურაძე და ნუცა შანშიაშვილი. მეორე გუნდში – ერეკლე გირგვლიანი, ფრიდონ სულაბერიძე და თათია თექთურმანიძე, ხოლო მესამე გუნდში – ლევან საგინაშვილი, ნანუკა სტამბოლიშვილი და გიორგი გველესიანი.

ნანუკა სტამბოლიშვილი, მსახიობი:

– თავიდანვე გავიაზრე, „კუნძული“ იქნებოდა ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოწვევა. მივხვდი იმასაც, რომ ჩემს ძვირფას გულშემატკივრებს მიეცემოდათ საშუალება, დაენახათ მათი ნანუკა სულ სხვა კუთხით, ამიტომაც დავთანხმდი ამ პროექტში მონაწილეობას. იმედი მაქვს, გავამართლებ, პირველ რიგში ჩემი ოჯახის წევრების და ჩემი მოკეთეების მოლოდინებს!

ერეკლე გირგვლიანი, მოცეკვავე:

– ძალიან მინდოდა საკუთარი შესაძლებლობების ლიმიტის გაზრდა, საკუთარი თავის ისეთ სივრცესა და პოზიციაში „ჩაგდება“, სადაც პიროვნულად და ფსიქოლოგიურად ზრდის დიდი საშუალება მექნებოდა. კუნძულზე შევძელი ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც ჩემთვის ყველაზე ფასეულია. დაუფიქრებლად დავთანხმდი ამ შემოთავაზებას!

ფრიდონ სულაბერიძე, მოცეკვავე:

– ჩემთვის დიდი გამართლებაა ამ პროექტში მოხვედრა. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც მომწერეს. მადლობა ნოეს, „პრაიმშოუ სტუდიას“ და ტელეკომპანია „იმედს“ ამ დაუვიწყარი თავგადასავლისთვის.

თათია თექთურმანიძე, ინფლუენსერი:

– როდესაც პროექტის შესახებ გავიგე, ძალიან დიდი ემოციები მქონდა. ვიცოდი, რომ სრულიად ახალი გამოცდილება და დიდი გამოწვევა იქნებოდა ჩემთვის.

ნუცა შანშიაშვილი, მუსიკოსი:

– ძალიან ვუნდობი ნოეს, როგორც პროდიუსერს. ზუსტად ვიცოდი, რომ საინტერესო პროექტს შექმნიდა და მთავარი მიზეზიც ეს იყო თუ რატომ დავთანხმდი „კუნძულზე“ გამგზავრებას და ამ ექსტრემალურ თავგადასავალში მონაწილეობას.

დათო ლიკლიკაძე, ჟურნალისტი:

– ეს იყო შანსი, რომელიც შეიძლება სიცოცხლეში ერთხელ მოგეცეს. და ამ გამოწვევაზე უარს როგორ ვიტყოდი?! ვერ ვიხსენებ მსგავსი მასშტაბის, ადამიანური რესურსის და შესაძლებლობების უცხოეთში გადაღებულ ქართულ პროექტს.

ლევან საგინაშვილი, სპორტსმენი:

– ფსიქოლოგიურად ძალიან რთული პერიოდი მქონდა, რადგან მიღებული ტრავმის გამო მომიწია ვარჯიშზე უარის თქმა. ნოეს შეთავაზებას დაუფიქრებლად დავთანხმდი.

გიორგი გველესიანი, ძიუდოისტი:

– მთავარი ნაპერწკალი, რამაც გადამაწყვეტინა პროექტში მონაწილეობა, იყო ახალი თავგადასავლები კუნძულზე და საკუთარ თავში ახალი თვისებების აღმოჩენა. მოგზაურობა ჩემი საყვარელი ჰობია. ძალიან ბევრი მქონდა გაგებული კუნძულის მკვიდრ მოსახლეობასა თუ ბუნებაზე, შესაბამისად, ამ შანსს ვერ გავუშვებდი ხელიდან. კუნძულზე ყოფნისას ახალი მეგობრები შევიძინე. დიდი სიამოვნება იყო ისეთ პროფესიონალებთან მუშაობა, როგორიც არის ნოე სულაბერიძე და პროექტის მთელი გუნდი.

ნათია ბაკურაძე, მოცეკვავე:

– 17 წელია, რაც სუხიშვილების მოცეკვავე ვარ და „კუნძულზე“ ნამდვილად მომიწია ჩემი კომფორტის ზონიდან გამოსვლა. ძალიან ვუფრთხილდები და ვაფასებ ჩემს დროს, ფუჭად არასდროს ვხარჯავ, ყოველთვის პასუხისმგებლობით ვეკიდები საქმეს და ვცდილობ, ღირსეულად მივიყვანო ბოლომდე. ნოეს შეთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი. „კუნძული“ ჩემთვის იმის შანსია, რომ მაყურებელმა სხვა რაკურსით გამიცნოს. ჩემი მხრიდან, მაქსიმალურად შევეცდები, არ გადავაბიჯო ჩემს პრინციპებს, ვიყო ღირსეული და სამართლიანი მონაწილე.

ცუცა კაპანაძე, მსახიობი:

– „კუნძული“ იყო ჩემი მეორე დაბადება. ძალიან მონატრებული ვიყავი ჩემს ქართველ მაყურებელს. უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი მთელი საქართველოს წინაშე. როდესაც ნოემ დამირეკა და მითხრა ამ პროექტის შესახებ, გული ამიჩქარდა და სუნთქვა შემეკრა ბედნიერებისგან. ეგრევე დავთანხმდი და ერთი წამითაც არ მინანია. ეს იყო ჩემთვის პირველი მასშტაბური პროექტი, რომელმაც მომცა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის და საკუთარ თავში ახალი თვისებების აღმოჩენის საშუალება. უღრმესი მადლობა ნოე სულაბერიძეს და მთელს შემოქმედებით ჯგუფს, ამ გენიალურ პროექტში ჩადებული უდიდესი შრომისათვის! წარმატებას ვუსურვებ ყველას.

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 3. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. სვან მამაკაცთა ცეკვა; 5. დიდი ფორმატის, სქელი წიგნი; 7. უწვერულვაშო მამაკაცი; 11. ქალის სასიმღერო ხმა; 13. მოლაპარაკე ფრინველი; 15. ინდოეთის ეროვნული გმირი; 16. თვისტომი, ახლობელი; 18. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 19. ფინელი სატირიკოსი მწერალი.

თარაზულად: 6. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლენა; 8. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მცირეოდენი განსხვავება რამეში; 12. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 14. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 17. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახის ფერწერული ტილო; 20. ცის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ბალეტში ნელი ლირიკული ცეკვა; 22. იახტების, ნავების სადგომი ნავსადგურში; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა